საქართველოს მოამბე

№ 7

13 დეკემბერი. კვირეული საპოლიტიკო, სამეც. და სალიტ. ჟურნალი 1909 წ.

პოლიტიკური მდგომარეობა.

ყოველ სახელმწიფოში საგარეო და საშინაო ცხოვრება მჭიდროდ შეკავშირებულია. გარეშე პირობები აქეზებენ, აიძულებენ სახელმწიფოს შესცვალოს შინაური ცხოვრება, შინაური მდგომარეობა უკარნახებს ასეთს თუ ისეთს საგარეო პოლიტიკას. გასულ საუკუნეში, მას შემდეგ რაც ნაპოლეონი დამარცხდა და ევროპის პოლიტიკურ ცხოვრების დიდად და მამად გახდა ეგრედ წოდებული „წმინდა კავშირი", რუსეთი მაჯლაჯუნასავით დააწვა მთელი ევროპის საშინაო ცხოვრებას, შინ განუვითარებელი და უკულტურო, ის გარედაც საშიში გახდა მთელი ევროპის დემოკრატიულ მოძრაობისათვის. ევროპა ძრწოდა რუსეთის წინაშე და არა ერთი გატაცებული პოლიტიკური მოღვაწე შეუჩერებიათ რუსეთზე მითითებით, ფრთხილად იყავით, წინ ნუ გარბიხართ საშინაო ცხოვრებაში, თორემ აი შავი ძალა მზად არის, მოვა და სულ წალეკავს თქვენს კულტურასო. რა საკვირველია, ამ შიშსაც თავისი საფუძველი ჰქონდა და რეაქციონური ევროპა, ჰპოებდა რა რუსეთში გამამხნევებელ და შეურყეველ დიდ ბოძს, სავსებით სარგებლობდა თავის მიზნების მისაღწევად ხოლო ასეთი მდგომარეობა მეტად ხელ შემშლელი იყო არა მარტო ევროპის თავისუფალი განვითარებისა. შინაგანი ცხოვრებით მეტად ღარიბი და უკულტურო რუსეთის სახელმწიფო ვერ ჰპოებდა წამაქეზებელ, მაიძულებელ მიზეზებს, რომელთაც შესძლებოდათ სახელმწიფო ძალა დაეყენებიათ ფართო კულტურულ შემოქმედების გზაზედ. ვეებერთელა რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებნი, როგორც ერნი, ისე თვითეული მოქალაქეც, იხშობოდენ განუსაზღვრელ პოლიციურ რეჟიმის ქვეშ. მაგრამ ყოველი პოლიტიკა ადრე თუ გვიან თავის ნაყოფს მოიტანს. ალაგმავთ ხალხს, დაუხშობთ განვითარების გზას, მოუსპობთ თავისუფლების ნამცეცსაც? თქვენვე შედეგს მოიმკით — პოლიციური ბატონ-ყმური რეჟიმის რუსეთი შეეჯახა თავისუფალ ევროპას და კიდეც საოცრად დამარცხდა ყირიმის ომში. საგარეო ომი შინაურ ცხოვრების გამოცდაა. და აი კიდეც სასტიკმა დამარცხებამ თვალი აუხილა რუსეთის წინამძღოლთ და დაანახვა, რომ ძველებურ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია. დაიწყო რეფორმების ეპოქა. საზოგადოდ რუსეთის პოლიტიკურ განვითარებას თუ გაითვალისწინებთ, დარწმუნდებით, რომ მისი წინსვლა დამყარებულია უმეტესად გარეშე ძალების ზედგავლენაზე. ყოველი დიდი რეფორმა, რეაქციონურ ჰახრაკის დროებითი შესუსტება და ცოტაოდენი ნაბიჯის გადადგმა — შედეგია გარეშე საგრძნობელი დამარცხებისა. არც ერთი დიდი რეფორმა რუსეთში არ ყოფილა ნორმალურ შინაგანი ზრდის, ძალთა ნორმალურ განწყობილების შედეგი. ამით აიხსნება სხვათა შორის ის მოვლენაც, რომ მოკლე ხნის შედარებით თავისუფალ ამოსუნთქვას მაშინვე სასტიკი რეაქცია მოსდევს რომელიც ცდილობს წინანდელი პოზიცია დაიბრუნოს. უკანასკნელი დიდი საგარეო გამოცდა რუსეთს იაპონიამ დააჭერია.

შედარებით მცირედი, მაგრამ კულტურულად ძლიერი იაპონია ამარცხებს უზარმაზარ, ხოლო ბარბაროსულ დევს, ართმევს დაჭერილ ტერიტორიას, ახდევინებს კონტრიბუციას. გარეშე დამარცხება შვებას აძლევს შინაგან ძალებს, იწყება ხან მოკლე განახლება. ყოველი დამონებული და კრიჭა შეკრული თავისუფლად ამოსუნთქვას ცდილობს. რუსეთში თითქო კონსტიტუციაც შემოდის. მაგრამ ძველი ძალა დამარცხების შედეგებს ითვალისწინებს, ისევ ღონეს იკრებს, ჰპიკებს მასაზრდოებელ ნექტარს რუსის ხალხის უვიცობაში, სიბნელეში, ფეხზე წარმოსდგება და ომს უცხადებს ყველა იმ მისწრაფების მატარებელთ, რომელთაც განახლების, წინსვლის ნატამალი ეტყობათ, იწყება სასტიკი და ულმობელი დევნა ძველს მოწინააღმდეგეთა. პოლიციური რეჟიმი ხელახლა ძველ კალაპოტს უახლოვდება და წინანდებური განუსაზღვრელობით იწყებს თარეშს. მაგრამ დიდი ხნით? ამას ახლო მომავალი გვეტყვის.

თანამედროვე სახელმწიფოთ მეტად უყვართ ჰიდაობა. თქვენ ვერ იპოვით უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში ერთს ათეულ წელიწადს, როცა რომელიმე დიდი ომი არ ყოფილიყოს, და თუ ფალავ-

ნები, მუდამ გამზადებულნი ერთმანეთის დასაძკერებლად, ხშირად პირდაპირ ერთმანეთის შეჯახებას და დატაკებას ერიდებიან, ეს აიხსნება ურთიერთის შიშით; თვითეული მხარე ფიქრობს, ვაი თუ დავმარცხდეო; მაგრამ თუ ერთხელ გაიგეს და ფაქტიურად გაითვალისწინეს თქვენი ძალა, მერე ნულარ ელით, რომ დაგზოგონ. დამარცხებას ბრძოლის ველზე ზედიზედ მოსდევს დამარცხება დიპლომატიური, შინაგან ძალას შეეფარდება გარეშე გავლენა.

რუსეთი აწარმოებს თვალსაჩინო აქტიურ პოლიტიკას ორ ადგილას. ერთია ეგრედ წოდებული ახლო აღმოსავლეთი, მეორე — შორეული. შორეულ აღმოსავლეთში დამარცხებამ დასცა რუსეთის გავლენა ახლო აღმოსავლეთში, რითაც საკმაოდ ისარგებლეს მეზობელმა სახელმწიფოებმა და სხვათა შორის სპარსეთმა, რომელსაც ვინ იცის როდის ეღირსებოდა შინაგანი განახლება, რუსეთი ძველ ძალაში რომ ყოფილიყო. მაგრამ შორეულ აღმოსავლეთში გამარჯვებული იაპონია მაინც არ ცხრება. ის გეფაციცებით, შეუჩერებლივ მზადებაშია. ომის შედეგი ფინანსიური და ეკონომიური შესუსტება უკვე გაასწორა მან; ფეხზე წამოდგა. საგრძნობლად გააძლიერა ჯარი და ფლოტი. მას თან მისდევს განახლების გზაზე ჩინეთი. და ორივე სახელმწიფო აქტიურ პოლიტიკას ადგება. მუდამ მორჩილი ჩინეთი აღარ სდუმს წინანდებურად და სადაც კი საჭიროა, რუსეთს წინააღმდეგობას უწევს. საკმარისია გავიხსენოთ ხარბინის ისტორია. მაშინ, როდესაც წინეთ რუსები სადაც მივიდოდნენ ჩინეთის ტერიტორიაზე, თავს შინ გრძნობდნენ და თავისი წესები შეჰქონდათ, ეხლა ჩინეთი კრიჭაში უდგება და ფეხს აღარ აცვლევინებს. ის კი არა, ცდილობს წინანდელ პოზიციებიდან ჩამოაგდოს და ისევ თავის ძალა აღადგინოს. დიდი ხანი არაა, რაც რუსები ხარბინს თავის ქალაქად სთვლიდნენ. დღეს კი ჩინეთი აცხადებს—აქ ჩემი უზენაესი უფლება, ჩემი სუვერენიტეტი უნდა იყოსო. ამასთანავე უთვალავი იაპონელი და ჩინელი მოაწყდა რუსეთის მიერ დაჭერილ ტერიტორიას. ბრძოლის ველზე გამარჯვებით გაძლიერებულნი ცდილობენ შემთხვევით სავსებით ისარგებლონ და იმავე დროს ახალ ომისათვის ეზადებიან. და რომ ეს ომი ახლო მომავალში მოსალოდნელია, დღეს ყველასათვის ცხადია. იაპონია და მასთან ჩინეთი კარგად გრძნობენ, რომ რამდენად დრო მიდის, იმდენად რუსეთი უკედ მოემზადება. ახალ გზებს გაიყვანს, განსაკუთრებით საფრთხილოა მათთვინ ციმბირის რკინის გზის მეორე ლიანდაგის გაყვანა. ამიტომაც რუსეთის პოლიტიკურ ცაზე ხელახლა იკრიბება ღრუბლები, შინ კი თარეშობენ ბნელი ძალები.

ფრიდრიხ ჰალმიდან.

(ეძღვნის კნ. ნ. ამირეჯიბს).

გულო, რა არს სიყვარული?
მსურდა ხშირად შენთვის მეთქვა.—
„ორი სულის ერთი ფიქრი,
ორი გულის ერთი ფეთქა.“
მაშ, მითხარი: სიდან მოდის?
„თან მოდის და არის თანა.“
როდის ჰქრება? „თუ კი გაჰქრა,
არც ყოფილა რამ მისთანა.“
მითხარ: წმინდა სიყვარული?
„როს თავის თავს თვით ივიწყებს.“
როდის არის უფრო ის ღრმა?
„როცა ჩუმად ფეთქას იწყებს.“
და მდიდარი? მითხარ ესეც...
„მაშინ როცა ის გეძლევა.“
მაშ, სთქვი როგორ მოსაუბრობს?
„არ საუბრობს—თავს გევლება.“

შ. ამირეჯიბი.

ჩვენი ბედი.

ძნელად თუ მოიპოვება დედა-მიწის ზურგზედ ისტორიული ერი, ჩვენისთანა უკუღმართი ბედი რომ ჰქონოდეს. მთელი ჩვენი ისტორია ერთი ვანუწყვეტელი პროცესსია ეროვნულ ორგანიზმის გაძლიერებისა და დაშლისა. ვიღწოდით საუკუნეთა განმავლობაში, შევკრებდით ხოლმე მთელს ეროვნულს ძალებს, ავიშენებდით ამ ჩვენ ერთ მტკაველა მიწა წყალზედ საკუთარ ხუხულასა, რომ კაცობრიობაში უსახლ-კარო არა ვყოფილიყავით და ჩვენცა გვქონოდეს ხმა სხვა ღირსეულ ერთა შორის,—მაგრამ უცბად შავი ყორანი დაგვჩხავლებდა თავს, მოვიდოდა აუარებელი მტერი და საუკუნოთა ნაწარმოებს რამდენიმე თვის ან წლის განმავლობაში გაგვინიავებდა ხოლმე: ჟლეტავდნენ მთელს პროვინციებსა; ტყვეთ ასხამდენ ასი ათასობით ხალხსა; სჯულსა, ენასა და კულტურას აცვლევინებდენ ცეცხლითა და მახვილითა; ნივთიერად ისე გააღატაკებდნენ, რომ წელში ველარ იმართებოდა მთელი ჩვენი ქვეყანა; წართმეულსა და გატაცებულ ჩვენს ნაოხარ მიწა წყალზედ თავისიანებს ასახლებდნენ...

აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთითა და სამხრეთით,—ყოველ-მხრიდან გვესხმოდა მტერი, ყოველ-მხრიდან გვანადგურებდა. არც მოხეტიალენი, არც მეზობელი კავკასიელნი, არც დიდი სახელმწიფონი, არც ძველად და არც როდეს,—არავინ და არასოდეს არ გვინდობდა, თუ ხელთ იგდებდა მარჯვე დროსა. ბერძენი და არაბი, მონღოლი და თურქი, სპარსელი და ოსმალო, ლეკი

და სხვა მთიული,—უმეტეს ნაწილად და ზოგჯერ, მთელი საუკუნოებით გამუდმებულ ცდაში იყვნენ, რომ მოვესპეთ, და მგლებივით გვყვანდნენ ადევნებულნი. „ღალატის“ ზენაბისა და საბა-ბერის თქმისა არ იყოს,—ერთი იყო საქართველო მუდამ, ერთი იყო იგი ისლამის თვალ უწვდენელ ოკეანეში, რომლის ტალღებიც მძლავრად და გინიდაგებით სცემდა და აცლიდა საქართველოს საუკეთესო, უძვირფასესს ნაპირებსა. არსად მეგობარი, არსად მუდმივი მოკავშირე!

ეს კიდევ არაფერი, არსად პატიოსანი სიტყვა, არასდროს შესრულება ზავის პირობათა, განსაკუთრებით ვერაგ სპარს-ოსმალთაგან, არასდროს პატივისცემა საერთაშორისო სამართლისა, როცა ჩვენ შეგვეხებოდა იკი,—რომ ცოტა ხანს მაინც ამოგვესუნთქვა თავისუფლად და მშვიდობიანობის დროს მოგვეწყო მრავალჯერ აწიოკებული და განიავებული კერა, კარ-მიდამო, შინაური ცხოვრება.

და განა იმ ერს, რომელსაც ასეთი ვაი ვაგლახი გამოუვლია, ასეთი საბედის წერო ისტორია დაუწერია თავის ხმლითა, მკვიდრი ექნება რამე თანამედროვე ცხოვრებაში, როდესაც მეცხრამეტე საუკუნემდის დაგვჩხავოდა შავი ყორანი და ბოლოს ისე დაგვჩხავლა, რომ წესიც აუგო ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებასა?—

ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ უძველესი ერი ვართ და დასაბამიდან ეს ულუტა და განიავება გვხვედრია წილად.

რამდენია ისტორიში ისეთი მაგალითი, რომ მუდმივ ულუტათა და ომთა მიზეზით მთელი ხალხნი, მთელი კულტურანი აღგვილან პირისაგან მიწისა და ჩვენ, დღეს კიდევ რომ ცოცხალნი ვართ,—ისიც დიდად და დიდად საკვირველია. და ცოცხალნი ვართ არა როგორც სომეხნი, ურენი, ან ბერძენნი, ან ეგვიპტელნი და აისორნი, არამედ ნამდვილად ცოცხალნი ვართ,—კიდევ დარჩა საქართველო და ქართველი ხალხი ნამდვილის ენითა, სახითა და სრულის თავ-სებურებითა.

რიცხვი ჩვენი მრავალ-საუკუნეთა ომების გამო თან და თან მცირდებოდა. ვერ მოვასწრობდით ოღნავ განმრავლებას, რომ ისევ ამოგვჟლეტდენ და გადაგვასახლებდნენ ხოლმე სადმე, ფერეიდანის მსგავს უდაბნოში, ან თურქებითა და ქურთებით აავსებდენ ჩვენს პროვინციებსა.

როდესაც დავით აღმაშენებელი აყიდა ტახტზედ, საქართველოში ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის ანგარიშით მხოლოდ 600,000 მცხოვრები ყოფილა, ისე იყო ამოვარდნილი და განადგურებული ქვეყანა ომებითა და მტერთა შემოსევითა. ქვეყანას ნადირი დაეპატრონა, „ქვეყანა აღსავსე იყო ირემთა და ეშვთა მიერო“. დავითის ხელმწიფობამ, თამარ დედოფლის დროს საქართველოს აღყვავებამ ცოტად წელში გაასწორა ჩვენი ქვეყანა და 150 წლის განმავლობაში ქართველობა დაახლოვებით 2,500,000 იყო, მთელს სამეფოში კი 5,000,000 მცხოვრები ითვლებოდა. ნორმალურად რომ განვითარებულიყავით, რასაკვირველია ვიმატებდით და იმ საზღვარს მივაღწევდით, რომელსაც ხალხს განმრავლებას უდებს ტერიტორიის სივრცე და სხვა პირობანი, მაგრამ მონღოლების აკლებამ, შემდეგაც დაუცხრომელმა ომებმა, სპარსელებისა და ოსმალოთა შემოსევებმა, განსაკუთრებით შახ-აბაზის განადგურებამ,—ყველა ამან მეთვრამეტე საუკუნეში ისევ 600,000 მცხოვრებზედ ჩამოგვიყვანა მთელი საქართველო!—ბედიც ამასა ჰქვია.—აბა სხვა ქვეყნების მცხოვრებთა რაოდენობის ზრდას გადახედეთ, იმ ქვეყნებისას, რომელთაც ჩვენისთანა უკულმართი ბედი არა სწვევიათ!

ისიც ტყუილია, ვითომც ყოველთვის და ყოველ პირობებში არსებობისათვის ბრძოლაში მარტო საუკეთესონი იმარჯვებდნენ. პირიქით,—ჩვენ მდგომარეობაში საუკეთესონი სწყდებიან, უგლახესნი და უფრო ლაჩარნი კი რჩებიან სიკვდილსა და სტოვებენ შთამომავლობას. ჩვენ შავ-ბნელ ისტორიაში მამაცი და გმირი ვაჟკაცობა სწყდებოდა, მაღალი ზნეობით აღსავსე—სჯულისათვის და აზრისათვის სიკვდილს აძლევდა თავსა,—ან მებრძოლი გმირი იყო, ან მოწამე; მსწავლული ივლტოდა და უცხო მხარეს აფარებდა თავს, რომ შემოსეულ მტრისაგან გადაერჩინა თვისი ან სხვისი სულიერი შემონაქმედი და მყუდრო ბინა მოეპოვებინა მუშაობის განსაგრძობად. ხოლო ლაჩარი იმალებოდა და მისგან მთელი შემდეგი შთამომავლობა იბადებოდა; სულით დაცემული და მხდალი კი მტრის მახვილს თვისას აშველებდა, ჰყიდდა სჯულსა და სინიდისსა, და ამით გახრწნილობის ზღვას აყენებდა ხოლმე მთელს საქართველოში. სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში, დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, უფრო მეტი წამბაძველობითა და ნივთიერ ინტერესით გამაჰმადიანდა, ვიდრე ოსმალოს მახვილისა და ცეცხლის სიმკაცრითა.

ჯერ კიდევ არაბების შემოსევამდე განადგურებული იყო საქართველოს დასავლეთი ნაწილი. მეშვიდე საუკუნეში სპარსელებსა და ბიზანტიელებს გამუდმებული ომები ჰქონდათ და ჩვენა გვხვდებოდა მათი რისხვის ალი. ამას ზედ დაერთო შავი ჭირი და მუსრი გაავლო ქართველობასა. მერმე მურვან ყრუმ, არაბმა ააოხრა და გაანიავა საქართველო. ამასავე ზედ დაერთო მუცელა, რომელმაც ეპიდემიური ხასიათი მიიღო და გაგვაჩანაგა. ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით არაბების აოხრებისაგან სული მოგვებრუნებინა და მეოერთმეტე საუკუნის დასაწყისში ბერძნებმა ააოხრეს საქართველო ორჯერ. მთელი დასავლეთ-სამხრეთი საქართველო გადასწვეს, ტყვედ წაასხეს, ან დახო-

�is. rac biziantielebma ver aasrulebs igi šimšilma šeasrula, rac am uqanasknelma ver šeZlo, igi turqebma šeasrulebs 1064 wels da šemdeg 1068 wels, rodesac mTeli saqarTvelo gaaoxres. magram 1080 wels mTeli turqoba mTels saqarTvelos šemoesia da pirdapir carcxa-glexisa da xocxa-ulelis aspaRezad gadaaqcia. 1089 wels saSinelma miwis ZrvamdeRamdeRmiiyvana čiTeni uberdebi.*) asTa mdgomareobaši avida davit aRmašenebeli taxtze. saZvari samefosi maSin „iyo mTa mcire lixisa da sadgomi samefo waRulis TavisaT“. mxolod davitis genioslobas šeZlo aoxrebuli qveynisagan dzlieri imperia šeqmna.

mTeli saukune iberZoda saqarTvelo šinaur da gareši mtertan, da or isev didi genioslebi TaosnobiT, rogorac iyvnen davit aRmašenebeli da TamaR mefe, bolos da bolos šeqmnilni dzlieri da kulturuli samefo. magram rat?—dagvcaldeb gana dRdxans? – monRolebma gana čven zurgze ar gadmoiaRes da ar gagvsrisebs isi, rom mas uqan TavisTvis dRe ar miqvidwiva dzvelis didebisaTvis? monRolebs ki isevi dzala hqondat, rom mTels imperiebs pirqvi amxobdnen da čven rogor gavuZlebdiT am zvas gamxecebul adamianTa, romelTa winaaRmdeg mTeli maSindeli evropis samxedro dzala wevi iyo zvaši. gana TviT rusebi ar waleqes sworebi meCvamete saukunebši TaTrebma,—mTeli orasi welicwadi ar batonobdnen da ar gaaTaTres kidec rusoba sulisa da gulisa?—

moiels evropas ver uwies monRolebma, radganac mravalrixovani xalxis dzalac ulevelebi ar arian, isic moxetialebi xalxisa; evropiebi šors iyvnen monRolebzed, magram azia-ši rac ki šexvda wina am cocxal adamianTa stixiebsa, gaanadgura da gasTela yovelisfeferi,—šemdeg ki TviTonac časdga is uecrad amovardnili qarTexili, es aRelevebuli TvalusWvdenelebi zvaši. yofilyvnen evropielebi imave geografiul mdgomareobaši, rogorac čvenc da sxvani, monRolebTa mslelobis zed šara gzazed, da maSin istoriasi isic ecodinebodaT—gaudzlebdebodaT Tu ara maTi evropielobas temur-lenGisa da turqebis urdobasa. TumcaT maTac igemes dzlieri monRolebTa sulsxi,—monRolebma waleqes rusebi, polonebi, unGrebi da spalatrosac ki uwies.

qarTvelebTan šedarebiT evropas rac uCirda. xeri erTi mravalrixovani iyo slavianobas, germanelobas da latinobas čvenTan šedarebiT.

*) iX. iv. xavaxišvili, saqarTvelos ekonomiuri istoria, TbilisiT 1907.

ai evropielTa zrdis damaxasiaTebeli statistika, TumcaT saubedurod xelTa ara gvaqvs meTerTmeteri da meTormeteri saukunis statistika, rom qarTvelebTan šegvedarebia:

wlebi.

	1480	1580	1680	1780
inglisi.	3,700,000	4,600,000	5 500,000	9,500,000
saxrangi.	12,600,000	14,300,000	18,800,000	25,000,000
prusia.	—	—	1,400,000	5 500,000
ruseTi.	—	—	12 600,000	26,800,000
avstria.	—	—	—	9,250,000
italia.	9,200 000	10 400,000	11,500,000	12,800,000
ispania.	8,800 000	8 150,000	9,200,000	9 9000,000

adgili warmosadgenia, ra uberdebi unda dasdgomoda saqarTvelos, Tu mcxovrebTa ricxvma čvenši meTerTmeteri saukunidan meTevrametemde 2 milionis naxevridan 600,000 daiwia, da ra pirobebši unda yofilyo inglisi rom meTuTxmeteri saukunidan meTevrametemde 3,700,000-dan 9,500,000 avida.

meore,—isenic yvelani kristianenic iyvnen da es aerTebdat mat maxmadianda winaaRmdeg brZolaši. isini saerTo dzalit, ganurčevlad erovnebisa, TviTonac ecemodnen musulmanebsa, xvaresanni papis qadagebiT TavidanfexebamdeRis šeiaraRebulni midiodnen wmindaadgilTa gamosaxsneladad. miuxedavad mat urTierTis šoris brZolisa, miuxedavad kidev ufero viwro saxogadoebriv kategoriaTa šoris brZolisa TviTeul eraši,—mat mainc hqondat erTobas sulieri, erTobas religiuri. romis imperiis erTobis tradicia saxogadoebrivi memkvidreobas iyo, gadacemuli romis eklesiisadmi. papobam daiWira misi adgili. romaul moqalaqis cnebas aTasxeri gafarTovda da gaxda „katolikoba“,—romlitac yvela evropieli kristianeni iyo mosili. martaleia papobas „imperatorobas“ gaučnda eTokqed, magram esec xom tendencia iyo romis imperiis tradiciaTa šenaxvisa da gangrZobisa, mxolod saero niadagzed.—evropis erTobas amasTanave erTsa da imave kulturul sferoši daibada da aRizarda. igi pirmo švilia romis kulturisa, romis diadi istoriisa. yoveli evropieli eri, germaneli Tu latini, miuxedavad metokeobisa da brZolisa, mainc gardiqmna sulieradad romis kulturis zed-gavlenaTa da erTma sakaTolikoeklesiam, romlis umaRlesi uforosac **romši** iyo, šekra da šebocha erTi kulturuli rkalit mTeli evropa. es erTobas TanTan mtkicdebodaT xalTa viTarebaši miuxedavad yovelivi dabrkolebisa, man TavisTi iCina sxvaTa šoris saerTašoriso samarTlis evropaši šemušavebiTa da misi moqmedebis daWebiTa, man TavisTi

იჩინა ნაპოლეონის ომების მეორე წამსვე, იგი თავს იჩენს ეხლაც, და შეიძლება არც თუ ისეთი ოცნება იყოს ევროპის შეერთებული შტატები, როგორც ეს ზოგსა ჰგონია. ერთი იყო მუდამ **სფერო** ევროპის კულტურისა, ერთია იგი დღესაც და ევროპაც თავის შვილებთან ერთად, — ამერიკასთანა და კოლონიებთან, — არასოდეს არ დაუთმობს არც ერთს სხვა კულტურულ სფეროს, არც ერთს სხვა რასას თავის უპირატესობას და ქვეყანაზედ ბატონობას. „ყვითელი საფრთხე", მიუხედავად ევროპიელ სახელმწიფოთა დიპლომატების მუდმივ წაჯექუაჯექობისა, შეიძლება აგრეთვე არც ისეთი უაზრო სიტყვა იყოს საზოგადო ისტორიულ-კულტურული თვალთსაზრისით, როგორც ეს ბევრსა ჰგონია.

როგორ შეეძლო **ასეთ ადგილზედ**, ასეთ კულტურულ დიად ერთეულის წალეკვა რომელიმე ურდოებსა.

ან რუსებს რა უჭირდათ. განუზომელი სივრცე რუსეთის ველ-მინდორთა დასახლებული იყო და კიდეც მრავლდებოდა რუსობა თათრების ბატონობის დროსაც. ან თათრებს სად შეეძლოთ გაძღოლოდნენ რუსობის მოსპობის საქმის ასეთ განუზომელ სივრცეზედ. და როდესაც ოცასის წლის შემდეგ განელდა ცეცხლი და ძალა შემოსეულთა, გაღონიერებულმა რუსობამაც ადვილად მოიშორა თავიდან მათი ბატონობა.

ქრისტიან დიდ ერთაგან მხოლოდ ბიზანტია დაიღუპა, რადგანაც ჯერ ერთი იგი შინაგანად იყო გახრწნილი, მეორე—იგი როგორც სხიზმის აღმსარებელი, ბოლოს და ბოლოს თითქმის გამოირიცხა ევროპის ერთობიდან, და როდესაც სულთან მაჰმად მეორე კონსტანტინეპოლს იდგა კარს,—მაშინაც კი იძახდნენ ბერძნები—პაპის ტიარას თათრის დოლბანდი გვირჩევნიაო,—მესამე—იგი მოსაზღვრე იყო აზიისა, საიდანაც სპარსელებს, არაბებსა და ოსმალებს მუდამ მიუწვდებოდათ ხელი. რადიუსი რომელიმე ერის სამხედრო მოქმედებისა განუზომელი არ არის. აგრეთვე რაც უფრო შორს მიდის ხალხთა შორის მისი ძლევა-მოსილი სამხედრო ისარი, მით უფრო მეტი წინააღმდეგობა ხვდება, მით უფრო უძლურდება იგი და ხშირად მოსაზღვრე ერის ან ერის ნაწილის დაღუპვით თავდება მისი მოქმედება. ამიტომაც დაიღუპა ბიზანტია თურქთა ხელით; სადამდისაც კი მისწვდა მათი მძლავრი მკლავი, შემუსრეს ყოველივე, მაგრამ ამ შემუსვრასაც საზღვარი დაედო და ევროპამ შორს აღარ გაუშვა თურქთ ძალა, — საუკუნოდ დასტოვა ბიზანტიის ნანგრევებზედა და სამხრეთ სლავიანების ნაოხარზედ. შემდეგ აქედანაც გამოაგდო. და ეს არც ისე ადვილი იყო, —მაშინ როდესაც თურქებს შეეძლოთ 200, 000 მეომრის გამოყვანა, მთელს ევროპას ძლივს შეეძლო ამაზედ ცოტა ნაკლები გამოეყვანა. მხოლოდ იმპერიის ძალამ, იტალიელების სავაჭრო თავის დაცვამ, უნგრელების გმირობამ და პოლონელების თავგანწირულებამ იხსნა ევროპა ოსმალთაგან.

ჩვენ კი?—ჩვენ რა გაგვაჩნდა ისეთი, რომ თავი დაგვეცვა მუდამ მოზღვავებულ ბტერთაგან,—განსაკუთრებით მუსულმანთაგან, რომელნიც ძუდამ ემტერებოდნენ საქართველოს, როგორც ერთად ერთ საქრისტიანო დამოუკიდებელ ქვეყანას ძთელს წინა აზიაში?—გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ყველას, ვინც აზიის შუაგულიდან დაიძრეოდა, ჩვენზედ უნდა გადმოევლო, ან შემოევლო, რომ მუსრი გაევლო აქაურობისათვის. ჩვენს მეზობლად სომხეთის დაცემის შემდეგ არავინ არ იყო ჩვენი მოკავშირე და მოკეთე, არ იყო ჩვენს ირგვლივ ისეთი საერთო კულტურული სფერო, რომელსაც შეეძლო ჩვენი ბუდმივი მფარველობა და ძუდამ ჩვენთან ერთად მოქმედება. ბიზანტიის იმპერია, გარყვნილი და გახრწნილი, თავის დღეში ვერ შესძლებდა რომ წინა აზიაში ისეთი რამ ბეექმნა, რაც შექმნა ევროპამ. და აკი დაეცა ისიც, ერთად-ერთი ქვეყანა, საიდანაც გახადგურების გარდა საქრისტიანო კულტურა მაინც ბოდიოდა ჩვენში, და რომელიც ჩვენთვის საქრისტიანო ხიდი იყო ევროპასთან კავშირისათვის. ეს ხიდი ოსმალებმა, ბაჰმადიანებმა დაიპირეს, და დავრჩით ამგვარად შუაში მოძწყვდეულნი. საქართველო საქრისტიანო კუნძული შეიქმნა ბაჰმადიანთა ოკეანეში: სამხრეთით სპაოსეთი, აღმოსავლეთით გამაჰბადიანებულ ურდოთა ნაშთები, სამხრეთ-დასავლეთით ოსმალები, ჩრდილოეთით უკვე გამაჰმადიანებული მთიულები, რომლებზედაც ერთ დროს ჩვენ ქრისტიანული და კულტურული გავლენა გვქონდა.

ლომი ბზეცთა შორის მოემწყვდა და გარედან ათასი დიდი და პატარა ბზეკი გვფლეთავდა და გვღრღნიდა საუკუნეთა განმავლობაში. ბუდამ ბრძოლა, მუდამ თავის დაცვა, მუდამ შიშიანობა; მუდამ მოწყვეტილნი ევროპის კულტურასა, მუდამ დროის არ მქონე, რომ მშვიდობიანად განგვეკითარებინა ან ნივთიერად ან სულიერად ეროვნული სხეული! საქართველო სამხედრო ბანაკად გადაიქცა, ბუშას დღეს გუთანი ება, ხვალ ბრძოლის ყიჟინა უნდა დაეცა, ბღვდელს ერთ ხელში ჯვარი და სახარება ეჭირა, მეორეში ხმალი, მთელი მოწინავე წოდება, თავად-აზნაურობა ბოლოს კლასად გადაიქცა,—მთელი ერი ბუდამ ფეხზედ იდგა და ნერვებ აშლილი ოთხი მხრიდან მტერს ელოდა. და არა უბრალო ომი, არამედ მუდმივი სასოწარკვეთილება, მუდმივი ეჭვი, **იქნება საქართველო თუ არაო**, — აი რა გვარგუნა წილად ისტორიამ, და მოდი და ეხლა ვინმემ გვიკიჟინოს,—რატომ ხართ დღეს დაძაბუნებულნი, რად გამოსჭვივის ქართველის თვალებიდან მუდმივი ეჭვუნვა, რათ ისვრიან იგი-

ნი შავს სხივებსა, რათ აქვს ქართველს გული გატეხილი და სული შედრეკილი!—დავიღალეთ; ისტორიამ დაგვღალა, იგი დედი-ნაცვალივით მოგვეგცა; სამართალი, განკითხვა, შებრალება არა გვქონია კაცობრიობ..საგან საუკუნეთა განმავლობაში, და დღეს რომ ცოცხლები ვართ,—ისიც დიდად და დიდად საკვირველია. ა. სუმბათაშვილის „ღალატი“,—თვით საქართველოს ისტორიაა დღიდან ჩვენი პირველი დაცემისა დღევანდელ დღემდე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეხლა არც ზეინაბობა შეიძლება და არც არიან ზეინაბნი, ვერც ანანიას თავგანწირულება გვიშველის. როგორც ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი ამბობს, ჩვენ დროს ჩამოვრჩით, ისევ ძველი ფსიხიკით ვცხოვრობთ, და ჩუმად კი ახალი ცხოვრება შემოგვეპარა, გამოვყავით თუ არა თავი იმ მახიდან, სადაც კაი ხანი გაბმულნი ვიყავით, და შევედით ფართო საკაცობრიო ცხოვრებაში.—თითქოს ახალი ცხოვრება უეცრად დაგვეცა თავზედ რაღაც სასწაულით გადარჩენილ ძველ ცხოვრების მატარებელთა, და ჩვენც დავიბენით...

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ხალხს კიდევ არა უჭირს რა, თუ მას ორი რამ მაინც შერჩენია:—ტერრიტორია, რომელზედაც მან ისევ უნდა ააშენოს თავისი ეროვნულ-კულტურული ცხოვრება, და თვით ეროვნულ ერთიანობის სული, ძლიერი სურვილი შეიცვალოს მდგომარეობა, სურვილი შეერთებული ეროვნული ძალებით განიკურნოს ძველი მძიმე ჭრილობანი და ხელ ახლავ შეუდგეს ახალ ცხოვრებასა.

აი, ამ მხრითა ვართ ძლიერ ცუდ მდგომარეობაში, და თუ გარეშე პირობებსაც გავითვალისწინებთ, ხელს რომ მუდამ გვიშლიან აღორძინების საქმეში,—ხშირად სასოწარკვეთილებასაც მივეცემით ხოლმე, რა ვეღარ ვხედავთ გაჭირვებიდან გამოსავალ გზასა.

Baton.

(დასასრული იქნება)

შინაური მიმოხილვა.

დღეს იქნება წერა-კითხვის საზოგადოების კრების გაგრძელება. ბევრ საკითხთა შორის, რომელიც კრებას განსახილველი და გადასაწყვეტი აქვს, ერთი მიაქცევს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას. ვისაც წერა-კითხვის საზოგადოების ბინა დაუთვალიერებია, თუ ცოტაოდენი პატივისცემა აქვს ძველ ისტორიულ ნაშთებისადმი, თუ მომავლის იმედი მის გულში ოდნავ მაინც მოიპოვება და წარსულის დაფასება ეხერხება, დარწმუნებული ვართ, უსათუოდ განსაკუთრებულ ტკივილს, შეწუხებას იგრძნობს, როცა ერთ ზალაში მიყრილ-მოყრილ ძვირფასს ისტორიულ ნაშთებს და ხელნაწერებს დაინახავს. თითქმის წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებიდანვე მისი ხელმძღვანელნი გრძნობდნენ, რომ აურაცხელ დაუფასებელ ისტორიულ ნაშთებისათვის საჭიროა განსაკუთრებული, თუ არ მდიდრული, შესაფერი ბინა ეაინც. ცალკე სამუზეუმო თანხის შეგროვებასაც შეუდგნენ, მაგრამ სამწუხაროდ დღემდის ამ საქმეს დასასრული არ ეღირსა. დღეს სამუზეუმო საკითხი ჩვენი საზოგადოების უპირველეს საკითხად გადაიქცა, დღეს საბოლოოდ უნდა გადაწყდეს მუზეუმის ბედი. გამგეობამ წარმოუდგინა საზოგადო კრებას ვრცელი მოხსენება და თავისი გეგმა. ამასთანავე გაძოითქვა აზრი, რომ სამუზეუმო თანხას შეუერთდეს ილია ჭავჭავაძის ფონდიც, რომ ამ გზით საშვალება მოგვეცეს შენობა ეხლავე ავაგოთ და ერთი წლის განმავლობაში მაინც საკუთარი ბინა გავიჩინოთ. ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში ეს მეტად საგულისხმიერო მომენტია და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადო კრება ჯეროვანის ყურადღებით მოეპყრობა მას და ერთხელ და საბოლოოდ გადაჭრის მუზეუმის საკითხს—ვადასწყვეტს, რაც შეიძლება ძალე ააგოს საკუთარი ბინა.

***

წარსულ კვირას წერა-კითხვის საზოგადოების კრებაზე ახირებულ წანადადებას გაიგონებდით. ყველამ კარგად იცის, რომ ახალი გამგეობა რაც ძალი და ღონე შესწევს, მუშაობს. ყოვლის უწინაოეს გამგეობამ მიზნად დაისახა, მიუხედავად სარევიზიო კომისიის არსებობისა, თვითონ შეამოწმოს საზოგადოების ყოველი ქონება, რისთვისაც შეუდგა მუშაობას. ეს საქმე არც ასე ადვილი აღმოჩნდა. რამდენიმე თვის განმავლობაში განსაკუთრებულად ამორჩეული კომისია საოცარი მუყაითობით და გულდასძით ითვალისწინებდა წიგნის მაღაზიის მდგომარეობას. ჩვენდა სამწუხაროდ კიდეც გამოირკვა, რომ ამ მაღაზიაში რამდენიმე ათასი მანეთი დაკარგულია. გამგეობამ ყველა შესაძლო ზომები მიიღო ძველი შეცდომების გასასწორებლად და საქმე ისეთ ნიადაგზე დააყენა, რომ შემდეგში რაიმე ბოროტ-მოქმედება ძნელი წარმოსადგენია. უნდა გვეფიქრნა, რომ საზოგადოების ყველა წევრები გამგეობის ასეთ მოქმედებას და სურვილს, რომ ყოველი ჩვენი საქმე ბტკიცე, შეურყეველ კონტროლს ქვეშ იყოს, მოიწონებდა. მაგრამ ჩვენი ახირებული ცხოვრების პირობები ახირებულ ტაქტიკასაც იწვევს ზოგიერთ წევრებში, რომელთაც კრებაზე განაცხადეს: რაკი გამგეობა ასე მუყაითად შესდგომია საზოგადოების ქონების ცნობაში მოყვანას, ამიტომ მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშსაც ნუ დავაძტკიცებთო და განსაკუთრებული კომისია ამოვირჩიოთ საქმის შესაძოწმებლადაო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ საზოგადოებრივ ჯგუფში, რომელშიაც მიუდგომლობა და პირუთვნელი დაფასება

არ არსებობს, მუშაობა მეტად ძნელია. კრიტიკა, ოპოზიცია—ყველაფერი ეს მეტად კარგი და მოსაწონია, მაგრამ ყალბია ის კრიტიკა, რომელსაც მიუდგომლობა თან არ აქვს დაყოლილი, არა სასურველი და გამხრწნელია ის ოპოზიცია, რომელიც მოპირდაპირეში ცდილობს მხოლოდ ცუდი დაინახოს, ხოლო კარგის დანახვა არ შეუძლია. უსაფუძვლო უნდობლობა მხოლოდ საქმის არა სიყვარულის ნიშანია. მაგრამ რას იზამთ, როცა ჩვენში ყველაფერი შესაძლებელია? როგორც მოსალოდნელი იყო, კრების დიდი უმრავლესობა ჯეროვანად მიეგება ახირებულ წინადადებას. ჩვენც ამ უმრავლესობასთან ერთად ვუსურვებთ გამგეობას წინანდებური ხალისით და მიუდგომლობით განაგრძოს თავისი მუშაობა.

* *
*

გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა რამდენიმე ფრიად საყურადღებო წერილი ბ. ჰამუდ-ბეისა, სადაც გარკვეულია ბევრი საჭირ-ბოროტო საკითხი აფხაზეთის შესახებ, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დღეს ერთი შემაძრწუნებელი ამბავი. ოც წელიწადზე მეტია, რაც ადგილობრივ მცხოვრებთ გაუშენებიათ სოფელი კურნაუთი. ძნელად იფიქრებდა ადამიანი, რომ ამ მუშა ხალხს ასეთი მეხი დაატყდებოდა თავზე და ხელად აყრას მოუნდომებდნენ. მერე რისთვის? შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთ რომ მისცენ ადგილი. ჩვენ მაინც დარწმუნებულნი ვართ, რომ ასეთი აშკარა უსამართლობა და სისასტიკე საბოლოოდ ვერ გაიმარჯვებს და სოფელი აუყრელი დარჩება.

*
* *

რამდენი დრო გადის, საადგილ-მამულო საკითხი იმდენად მწვავდება ჩვენში. საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ყოველ დღე ამბავი მოდის იმის შესახებ, რომ მამულებს მოსულნი ეპატრონებიან და ჩვენი ხალხი პირში ჩალა გამოვლებული რჩება. ყველაფერს ვიფიქრებდით, მაგრამ თუ იმერეთში უცხო ხალხის ჩამოსახლებას განიზრახავდენ, აღარ გვეგონა. აქაც იმედი გაგვიცრუვდა, დანამდვილებით გავიგეთ, რომ ცდილობენ თ. მიქელაძეების მამული, რომელიც ბანკს დარჩა, გადმოსახლებულთ დაუთმონ. მერე სად წავიდეს ის ხალხი, რომელიც ამ მამულებით სცხოვრობს? საჭიროა ახლავე მიღებულ იქმნას შესაფერი ზომები, საჭიროა გლეხობამაც გაიჭირვოს და მამული ხელიდან არ გაუშვას, თვარა მერე გვიანღა იქნება.

*
* *

ყოველ ზომას თავისი საზღვარი აქვს. დამსჯელი რაზმებით სარგებლობა მეტად გახშირდა ჩვენში და ხალხს გაღატაკებას უქადის. საკმარისია ერთი-ორი კვირა დაჰყოს დამსჯელმა რაზმმა სოფლად, რომ სოფელი ისედაც ტყავ გამძვრალი გაღატაკების პირზე მიდგეს. ამიტომაც, როცა კერძო რაიმე ბოროტ-მოქმედება მოხდება სოფლად, მაშინ მაინც ასეთი საშვალება არ უნდა იხმარებოდეს. ს. ხვარბეთში ვიღაც თოიძის ცოლი მოკლეს. სოფელს მკვლელები მოსთხოვეს. შიშმა თავისი გაიტანა და ხალხი აიძულა სამართლისათვის გზა აეხვია—განაჩენით მთავრობას ისეთი პირნი გადასცეს, რომელნიც შემდეგ უკვე უდანაშაულონი აღმოჩნდნენ. ეს უკვე ისეთი საქციელია, რომ სამართლიანობას და კანონიერების შეგნებას ძირს უთხრის, გაწვართნილ ხალხს თვალს უბნელებს და უზნეო საქციელზე აქეზებს. ვინ იცის, იქნებ ახლაც ახალის რაზმის ჩამოყენებამ გამწარებულ და გაჭირვებულ სოფელს ისევ ამსხვერპლინოს ვინმე უდანაშაულო ადამიანი. ბოროტ-მოქმედება უნდა გამოაშკარავდეს, მაგრამ ძველ ბოროტ-მოქმედების ძებნაში ახლებს არ უნდა ვქმნიდეთ.

სავლესო ბანკი.

და

საადგილ-მამულო კამასია *).

VII.

როგორც მოგეხსენებათ, ყველაზე ძლიერ ქართლს მოედო და ძვალ-ა და რბილში გაუჯდა სოფლად ნასროლი აზრი, რომ მამულ დედული, ტყე და მინდორი გლეხისაა. ყიდვა და ფულის გადება რას მიქვიან, ჩვენის ოფლითაა მორწყული ჩვენი მარჩენელი მამული და ვის დავანებებთო, თამამად გაიძახოდა სოფლის ახალგაზდობა. საერთო ფერხულში, ასე გაშინჯეთ, ბევრის მნახველი და დარბაისელი ოჯახიშვილებიც კი ჩაებნენ.

ქართლის გლეხ-კაცობამ მარტო მამულის საკუთრებას შეხედა ალმაცერად, სხვა გვარ საკუთრებას ხელი არ ახლო და იერიშიც არ მიუტანია. ქარტეხილი და კორიანტელი მხოლოდ ტყისა და მინდვრის საკუთრებამ განიცადა საერთო ქარიშხალის დროს.

მშვიდი და წყნარი, ზომიერი და თავაზიანი ქართლელი გავარვარებულ თონეს უფრო წააგავდა, ვიდრე ლმობიერ ადამიანს. თქმა იმისი რომ უფასოდ არავინ რას მოგვაშავებს, თვით რესპუბლიკაც რო დაარსდეს პოლიტიკურის ბრძოლის მეოხებით, არა ხვდებოდა ქართლელის სულსა და გულს.

რომ მართლა და ნამდვილად გლეხ-კაცობა ამ გუნებაზე იდგა, მალე მე ჩემის თვალით ვნახე და დავრწმუნდი. ტკბილ და საოცნებო აზრის დაფუძვა უნაყოფო შრომა იყო და გაბრაზებას იწვევდა. სამმა სოფელმა: არადეთმა, წვერმა და სალოლაშენმა კაცები მომიგზავნეს და მთხოვეს—გაგვაგებინე, რა დრო დადგა, რა ხდება ქვეყანაზეო. შეკრებილ

*) ამ წერილების დასაწყისი იბეჭდებოდა „სახალხო გაზეთში“.

ერს დიდ ხანს ველაპარაკე ეკლესიის გალავანში, საბლის წვერი პოლიტიკურ რეფორმებისაკენ მიმქონდა და იმას ვამტკიცებდი, რომ საკუთრების დაშლას ვერ ავიტანთ, ვერ შევირგებთ და გვაწყენს მეთქი. როგორც კედელს ცერცვი არ დაადგება, ისე არ მიეკარა ჩემი სიტყვა ერის გულს. რის თავისუფლება, რის პოლიტიკური რეფორმა და კაცად ქცევა! ჩემს მეზობლებს უნდოდათ აზნაურების ოთხათასიან დღიურ ველ-მინდორი ეხლავე, დღესვე და მე კი რაღაც ლათაიებს ვუამბობდი.

ალბად შევეცოდე ერთს მოხუცებულს, რომ ტყუილად თავს ვიწუხებდი, მამიბრუნდა და მითხრა: „ბატონო, თავს ტყუილად რად იწუხებთ. იმ ახალგაზდა ბიჭებმა შარბათი დაგვალევინეს, თქვენ კი ხრაკიან არაყს გვასმევთ და აბა როგორ გამოგყვებითო“.

მივხვდი ყველაფერს და დავაპირე წამოსვლა ყრილობიდან.

ხალხშივე ტრიალობდა ჩემი ახლო ნათესავი, ახალთაობის კაცი, თითქმის ბატონ-პატრონი ჩვენის ფრონის ხეობისა. მისი სიტყვა ისე გადიოდა, როგორც ხალასი ოქრო. გამობრუნებულს ღიმილით მითხრა; გათავდა თქვენი მეფობა, დრო-ჟამი ეხლა ჩვენიაო.

უხეირო ყვავივით სადღაც გადიკარგა ჩემი მოღიმარი ნათესავი, ხოლო არადელები, წვერელები და სალოლაშნელები წელებზე ფეხს იდგამენ მამულის საყიდლად და დღიურში ერთი-ორად მეტს აძლევენ, ვიდრე მაშინ ფასობდა, აჯანყების კორიანტელი რომ მოედო ქართლსა.

ასეთი იყო ქართლის ვითარება, საადგილ-მამულო კამისიამ რომ დაიწყო მოქმედება. ბევრი იმ აზრისა იყო, რომ კამისიას ქართლიდან არავინ მოეკარებაო. აბა ვინ მოინდომებს შარბათის შემდეგ ხრაკიან არაყით ყელის ამოხლანძასაო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

პირველად მოვიდნენ კამისიაში ძმანი კაპანაძეები სოფელ წაღვლიდან. ამათ ეყიდნათ რვა დღიური თ. ამირეჯიბისაგან ოთხმოც თუმნად და დახმარება სჭირდებოდათ. კამისიამ ოცდა ათი თუმნით ხელი გაუმართა და ნასყიდობის ქაღალდი ჩააბარა. ოცი თუმანი უკვე დაუბრუნეს კამისიას, დარჩა მათზე 100 მ. ძვირად კი დაუჯდათ კაპანაძეებს გაბედულობა. იმავე წელიწადს, მამული რომ იყიდეს, ვიღაც ავმა სულმა ბჟა დაუწვა კაპანაძეებს და მთელის მოსავლიდან ხელცარიელი დასვეს. ასის თუმნის ზარალი მოუვიდათ საცოდავებს. დღესაც არავინ იცის, ვინ იყო ეს ბოროტი და ავი სული, ან ეგები იციან, მაგრამ შიშით ვერ ამბობენ.

იყიდეს აგრედვე მამული არადელებმა და სალოლაშნელებმა.

წვერელებიც ამ დღეებში შეუდგებიან ქრისტესა.

ა. ყიფშიძე.

ამონაკვნესი.

დე დამამცროს
ხალხის თვალში უგუნურთ ბრბომა,
დაე დამცინოს,
შემიგინოს ღვაწლი და შრომა;

* * *

დაე ამხედრდნენ
ჩემდა სამტროდ მავნე ძალები,
დაე სტიროდნენ
ჩემი სატრფოს შავი თვალები;

* * *

დაე ცხოვრებამ
თვის მახვილით მომკლას, გამაპოს,
დაე ამ სოფლად
სიტკბოს ნაცვლად სამსალა მასოს;

* * *

დაე მომისპოს
დამიბნელდეს მზისა სხივები,
ჩანგმაც შესწყვიტოს
ტკბილი ქღერა, დასწყდეს სიმები;

* * *

დაე სულყველას
დასანახად ვეხიზლებოდე,—
ოღონდ, ოცნებავ
ზეციერო, შენა გწვდებოდე!...

ი. გრიშაშვილი.

ასპიროზის დახვრეტა.

-+**+-

აზნაური იოთამ გაბედული იჯდა დაბალ სამფეხა სკამზე თავის კოხტა, მაღლად წამოჭიმულ, „პალატიან“ ოდის შუშაბანდის კუთხეში, არჩევდა დახვავებულ ხმელ ლობიოს და ოცნებობდა. მაგრამ იმის ოცნება მომავალს კი არ ეკუთვნოდა, არამედ წარსულს: საუკუნოდ გამქრალს, მშვენიერ, მოსვენებულ დროს. „ქე ვიყავი ჩემდა კარგათ, თავისუფლათ, ღვინო არ მაკლდა და ქეიფი. ბიჭი მყავდა და გოგო, და რა მრჯიდა, თუ ღმერთი გრწამს, რევოლიუციონერად რომ გავხდი“... როცა სიტყვა „რევოლიუციონერი“ გაიფიქრა იოთამმა, თუმცა ფიქრში იყო წარმოთქმული, მაინც ცოტათი წამოიწია, მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, მაგრამ ისევ საჩქაროდ ჩაჯდა და ისევ აიღო ერთი მუჭა პარკი. „არა, არა,— განაგრძო მან ფიქრი,—შენ, უბედურო იოთამ გაბედულო, ასე გინდოდა და უყარე ახლა კაკალი, არჩიე აგერ ლობიო.—მთავრობა შენ გემტერება, ყაძახები ეჭვით გიყურებენ... არა, რა გიჭირდა, ყოფილიყავი შენდა კარგათ, თავ აუტკივებელი... სულ ამ ყაძახების ბრალია. არა, მე რეიზა ავყევი, მარა კაი არც მაგინს დაჭერია...

ვაცხონე მთავრობის მამა. . ერთს გავიხედავ, რას შობიან მაინც...“ იოთამ ადგა დაკუზული, მივიდა ფანჯარასთან და მიმოავლო თვალი ირგვლივ მიდამოს.

უკვე დაღამებული იყო და ბნელოდა. მარცხნით, საიდაც იოთამს თავის მეზობლების სახლები ეგულებოდა, მოსჩანდა რაღაც გაურკვეველი შავი დაბალი ლანდები და ხეების მაღალი მდევებივით აჩრდილები, რომლებიც თითქოს მუქ ცის კამარას ებჯინებოდენ. არსად სინათლის ჭაჭანება არ იყო, თითქოს ახალი დაღამებული კი არა, შუაღამე გადასული ყოფილიყოს. თითქოს დამლევი სექტემბრის თბილი საღამო კი არ იყო, როცა სოფელში ტეხა-კრეფა და სიმინდის რჩევაა გაჩაღებული და გათენებამდის ისმის ახალგაზრდების სიცილ-კასკასი, ხელხვავი, ხასანბეგურაი და ათასი სხვა სიმღერები. ახლა ყველგან სიჩუმე სუფევდა, თითქოს სოფელი უკაცო ყოფილიყოს. ასე გასინჯეთ, ძაღლების ყეფაც კი არსად ისმოდა, თითქოს იმათაც შეუკრა კრიჭა რეაქციის ბასრმა ბრჭყალებმა და მხოლოდ, როგორც მწარე დაცინვა, შორით ისმოდა ჭოტის შეუპოვარი მკაფიო ძახილი, დაღონებული უუჰ! უუჰ!.. იოთამს მწარედ შეეკუმშა გული და ყელში ცრემლები მოებჯინა.

თავი გააქნია და ძალა-უნებურად გაიხედა პირდაპირ და მარჯვნით. იქ მოშორებით, დიდ მინდორში მთელი მიდამო მოფენილი იყო სინათლით. თითქოს ის ვება ადგილი განგებ გაუჩირაღდნებიათო. და იოთამმა, თუმცა ვერ ხედავდა და არ ესმოდა, მაგრამ ცოცხლად წარმოიდგინა რა ამბავი იყო ახლა იქ. იქ იყო დაბანაკებული დამსჯელი რაზმი. იოთამს ფეხები აუცახცახდა, შიშის ოფლმა დაასხა და წაიჩურჩულა: „აა, ამისთანა ძლიერი მტრის ძლევას ვაპირობდით... ვაი, უბედურო ჩემო სოფელო, ჩემო თავო!..“ და საჩქაროდ ჩაჯდა და როგორღაც უაზროდ ისევ აიღო ლობიო ხელში.

ოთახში გაისმა ფეხის ხმა და გარედ იოთამის მეუღლე მზეხა გამოვიდა, მაგრამ გამოსვლისას კარს წამოედვა და კინაღამ გაიშხლართა იოთამის წინ, რომელიც სწრაფად წამოხტა და სტაცა მკლავში ხელი ცოლს.

— ჩუმათ, ნუ ყვირი, თუ ღმერთი გწამს, მზეხა... ხომ არაფერი გიტკენია?—წარმოსთქვა იოთამმა, ხმა დაბლა.

— ოჰ, შენი ღორღილი არ გეიგონა კაცმა!—გაბრაზდა მზეხა და გამოგლიჯა ქმარს ხელი,—ადამიანო, ხომ არ უნდა დამარჩო ახლა ამ სიბნელეში. რაფერ გავაკეთო რამე, რაფერ მოუარო ძროხას?.. ციცაი ჩვენ არ გვყავს და ბიჭი... შენ ხომ გამეიჭიმები და ყორიფელი უნდა მოვართვა...

— შენი ღვთის გულისა, ნელა ილაპარიკე, მზეხა. ადამიანო, გეიხედე ეგერ სოფელში, თუ ვინმესა აქ სანთელი...

— ოჰ, ოჰ, ოჰ! შე უბედურო, ყაძახებს მიმალოდე ახლა, ჩემ ნაყუჩევებს? ასე დავარდა ჩემი დღეი და ღამე, ასე დავარდა გოჯასპირ მაღალაძის ქალი-შვილის სიცოცხლე, რომ ალექსის ელპიტის ადარებ?..

— ვაიმე, ვაიმე, რაღა ვქნა... ისე ყვირის, რომ დამიჭირავენ რაღა დროისაა. არ ამცილდება ციხე და ციმბირი. დამხვრეტენ... ქალო, შეხედე ეგერ მტერს, რა ამბავი აქ...

მზეხამ მოიხედა მარჯვნით და თითქოს ოდნავ დაშოშმინდა, ხმას დაუკლო, მაგრამ ისევ ისე გაბრაზებით წარმოსთქვა:

— ციხის თუ გეშინოდა, მიტინგებზე რას იარებოდი, ერთი მითხარი!..

— შევცდი, ვითარცა კაცი, შევცდი, მზეხა, რა ვიცოდი ასე გათავდებოდა...

— არა, ერთი მითხარი, რა კაი დაგაყარეს ყაძახებმა, ციცაი წაგვართვეს, ბიჭი არ დაგვიყენეს...—არ ცხრებოდა მზეხა.

— თლა შენი ბრალია, თლა!—აენთო უცებ იოთამ,—შენ არ იყავი, ბაირაღები რომ აქარგე, შენ არ იყავი ქალების ათის თავათ, შენ არ იყავი?..

— კაი, კაი, ახლა, რაცხა ვიყავი. რაც იყო, იყო. ყველაი შობოდა, და აბა მე გამოვწყვეტილიყავი ყველაში?—წაიჩურჩულა მზეხამ, რომელმაც თავი დამნაშავედ იგრძნო. ჩამოჯდა იოთამის გვერდით და აიღო ლობიო.

— ოჰ, და ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს, მეც სწორეთ ამიზა ვიარებოდი. რომ არ წავსულიყავი კიდევ...

— ამ უსინათლობამ მომკლა, იოთამ. ყორიფელს მოვითმენ, მარა უსინათლობა?.. აბა, ერთი ახლა რაფერ ვჭამოთ სიბნელეში ვახშამი?..

— მეიცა აგერ პაწია, და საცხაა მთვარე ამუა.

ერთ წამს ორივენი ჩაჩუმდნენ. შემდეგ, თუმცა ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, მაინც შეხედეს ერთმანერთს და ორივემ იგრძნო რაღაც გამოურკვეველი შიში და ერთმანერთის საჭიროება და კიდევ უფრო მიიწიეს ერთმანერთისაკენ.

— უფრო იმან მომკლა, რომ თუთუნს ვერ ვსწევ აგერ თავისუფლად, უკან ოთახში უნდა შევიპაროთ ქურდულათ.

— ვითომ რა იქნება, ახლა რომ მოსწიო ერთი ჩიბუხი? ვინ შეიტყობს.

— აა, ქალის ჭკუას დამიხედეთ. რავა ვერ შეიტყევე, დამინახავენ რომ შინ ვარ და დამიჭირავენ მეთქი.

— ახლა, დასტურ, რა ქენი იმისახაი?

— აა, მიტინგებზე რომ ვიარებოდი, არ კმარა იგინიზა? ჯამუშები ცოტაა?

მზეხა ჩაჩუმდა.

უცებ გარედან ამოსასვლელ კიბეზე ჩქარი ფეხის ხმა გაისმა.

ცოლ-ქმარნი ზე წამოცვივდნენ.

— მევიდენ!..—სთქვა ცახცახით იოთამმა.

კარები გაიღო.

— მშვიდობა აქა! შინ ბრძანდებით?—გაისმა ხმა.

— ოჰ, ქრისტეფორავ, შენ ხარ? ქე მოგვკალი, კაცო, შიშით... ნელა ილაპარაკე, თუ ღმერთი გწამს.

— უბედურ კაცს ქვაი ადმართში მიეწიაო!.. დევიდუპე, იოთამ ბატონო, დევიდუპე თლა. ყურძენი დავწნი-

ხე, ვაით და ვუით მოკრეფილი ეურძენი, და საწნახელი კატეხილი არ გამოდგა. ქე გეგიდა ოლა ტკბილი... ეგებ-ბა ბაძბა და ოხის ქონი გქონდეს ერთი ცახე, გავლესავ-დი, თვარა დეგიდუნე და იგია.

— ღმერთო, მომკალი და იგი; რავა, ქრისტეფორავ, დროზე ვერ შეატუვე, შე სატოდვავო? ბაბბა კი მაქ სატხა შენახული, თუ ვნახე ამ სიბნელეში,—სთქვა მზეხამ.

— ჭო და აბა ოხის ქონი მაქანაი აქ გლახუნას... ჩეირბინე ელანძე და მოგეეშს... მზეხა, ამასობაში შენ ბამბას მოხახავ... შენ გეიქეცი, გეიქეცი, ნუდარ იეო-ნებ, ძმაკ.—იოთამს, თითქოს ეველაფერი გადაავიწე-და და დაიწეო მადლა ლაპარაკი.

— ნუ ეკირი, კატო,—გაანუმა ტოლმა.

— რას შიჩიკი, ქალო, ამისანა დროზე ნუ ეკირი რომელია. მეზობელს უწერს და აბა არ მიგეხმარო? გეი-ქეცი, გეიქეცი, ძმაკ, გლახუნასთან,—მაგრამ ხმას მაინც დაუკლო.

ქრისტეფორე მოტრაალდა წასასვლელად და მოჭ-კიდა კარს ხელი. იოთამს თითქოს რადაც მოგონდაო.

— მეიცაი, მეიცაი, ქრისტეფორავ! მაქანაი სახ-ლის უკახ, ღარდაში გლახა გზაია და არ დიეცე... მზე-ხა, ერთ წამს ათხუე ფარანი, თუ ქალი ხარ.

— ფარანი!

— ჭო, ჭო, ფარანი. ელანძე ჩეირბენს ბერიკაცი. ფეხი არ მეიტეხოს და ერთი ცოდვაში არ ჩამაეენოს.

მზეხამ გამოიტანა ანთებული პატარა ფარანი და გაუწოდა ქრისტეფორეს.

ქრისტეფორე იეო პატარა ტანის, სრულიად გა-თეთრებული, თხელ წვერა, კამდარი, მოხრილი, ფეხში-შვალა მოხუცი გლეხი. ტანზე ფარაჯის ნაფლეთები ეცვ-ა. თავი შოწითალო მოსახვევის ნაგლეჯით ჭქონდა წაკონილი.

წავიდა თუ არა მოხუცი, იოთამმა რადაც შეება იკრძნო, „უოჩად აზნაურო იოთამ გაბედულო“,—ამბობ-და ის გულში:—„ასე უნდა: გასაჭირში უნდა მიეხმარო კაცს, თვარა, აბა უარეუმი ხომ არ ვარ. მეორეც ახლა ვინ დეინახავს ელანძე, დასურ თვალის დახამხამებაში ჩეირბენს და ამეირბენს ბერიკაცი.

მართალაც არ გასულა ოცი წუთი, რომ ქრისტეფორე უკან დაბრუნდა, მზეხამ მისცა ბამბა.

— შენი ჭირიმე, მზეხა,—მიმართა ქრისტეფორემ თხოვნით,—რადგან სიკეთე მიქენი, ბარალამ მარილიც მუაარე და აი ფარანი მაითხეე, შინ წეეიდეს და რავაც რიგია გაგლესავ საწნახელს. ქალებმა არ აანთონ მეთქი და შიშით სანათეთე გაგტეხე და ნიგეზალით ვეფერი დეგინახე. ახალგაზდას ლამე ვეღარ გეუოეეა შინ და ჩემი დროის ბერი კაცმა რა უნდა დეგინახო... ერთი იგი შემეტეო, რეიზა ეშინიან ამ სინათლის... ეეჭ...

— წეიდე ძმაკ, წეიდე, მარა ჩქარა წაი, ჩქარა.

— ღმერთმა თქვენი თავი ნუ მომიშალოს.

ქრისტეფორე ჩქარის ნაბიჯით გაჭქანდა.

— აბა, მზეხა ახლა ხელი დამაბანიე ერთი. სატ-ხაა მთვარეც ამუა და ვიფახშმოთ.

მართალაც ცამ ინათლა. მთა გორები და ტეეები მკაფიოდ გამოინაკვეთა ცის სიფრცეში.

მზეხამ გამოიტანა დოქით წეალი და გალებულ ფანჯარაში დაუსხა ქმარს ხელზე. იოთამი იბანდა ნელა ხელს და დროთი-დრო ღიმილით გადახედავდა მზეხას.

— არა, ძალიან ქალი ხარ, მზეხა, მე და ჩემმა ღმერთმა. ხანდიხან კაპასობა კი იცი, მარა... არა, იგი რავა იეო, წიოელი ბაირაღები რომ აქარგე და მე რომ გადმოაბრალე?..

— მე აგქარგე, მარა შენ...

— ოჭ, ოჭ, გამიჯავრდა, გამიჯავრდა...—იოთამი უცებ დაიხარა, სწრაფად მოხვია ხელები ტოლს და აკოცა.

მზეხა სიცილით გამოუსხლტა ხელიდან.

— არა, ერთი მითხარი, რამ გადაგრია, ამ სიბე-რის დროს რომ არშიეობ.

— სიბერის დროს!.. მამა მიცხონება ორმოცდა ათი წლის თუ ვარ, ბევრ ახალგაზდას არ ვჯობიავარ!

იოთამმა ჩამოისვა თავის ჯერ კიდევ შავ გრძელ წვერზე ხელი და გადაიწკვერტა გრძელი ულვაშები,—შენც ბევრ ახალგაზრდას ჯობიხარ, მე და ჩემმა ღმერ-თმა, მზეხა,

მზეხამ სიამოვნებით გაიცინა, გაისწორა თავზე აბრეშუმის სამეურა მოსახვევი და კეკლუცად გამოაჯავრა ქმარს:

— ოჭ, ოჭ, ოჭ, ერთ ქალათ ჩემი თმა ღირს, ერთ ქალათ თვალ წარბი, არა!.. და კოხტად მოტრიალ-და ოთახში შესასვლელად და ვახშმის გამოსატანად.

იოთამმა კმაყოფილების ღიმილით გაადევნა თვალი კოპწია რხევით მიმავალ, უკვე მოხუცებაში შესულ, პა-ტარა ტანის ქალს. ის აუჩქარებლად იწმენდდა სველ ხელებს პირსახოცით და კმაყოფილებით ფიქრობდა, თუ რა სიამოვნებით შეექცევა ახლა ამ სუვარელი ქალის გა-კეთებულ ვახშამს და „მართალაც ქალი კი არა ოქროა ოქრო, რავიც იეო, იმ ნაირივე მაქციერია და სუვარელია.“

მზეხამ ხალისიანად გამოიტანა პატარა გრძელი ხის „სუფრა“, დაგინაათ შუშხუნა მაჭარი, ხელური ყველი, ცხელი მწადი და ქოთნით ნიგოზში გაკეთებული ქათამი.

— აბა, იოთამ, იმასთანა ქათამი გავაკეთე, რომ სუმთალა თითებს ჩეიტკვერ.

ნინო ნაკაშიძე.

(დასასრული იქნება).

მეღვინეობისა და მეფეტვეობის კოოპერაციები.

III

(დასასრული)

წინა წერილში აღწერილი ორგანიზაცია საერთო ერთო დახმარებისა არის საუკეთესო წესი ორგანიზაციისა, რომელიც შექმნა და განავითარა დასავლეთმა ევროპამა, და ეხლაც ანვითარებს, რომ თანამედროვე ეკონომიურ პირობებში მკვიდრ ნია-დაგზედ დაიყენოს მეღვინეობისა და მეფეტვეობის მეურნეობა.

ამ ორგანიზაციათა მოქმედებამ დიდი ნაყოფი გამოიღო, დღეს ჩვენც იმავე ნიადაგზედ უნდა დავსდგეთ, ესე იგი ფართოდ უნდა გახკავითაროთ საურთი-ერთო დახმარება, თვითმოქმედება, ამხანაგობის ნიადაგზედ უნდა მოვაწყოთ მეღვინეობისა და ღვინის გასყიდვის საქმე. ეს ერთად ერთი საშუალებაა, რომ ჩვენი მეღვინეობის ძრეწველობა იმ უნუგეშო მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება.

მაგრამ ჯერ ის უნდა გამოვარკვიოთ, რა მიზნის აღსრულება უნდა დავაკისროთ მეღვინეობის კოოპერაციებს ჩვენ ში. უპირველესი დაბრკოლება ჩვენი მეღვინეობისა და მევენახეობისა არის ის, რომ არ არის მოთხოვნილება ყურძნის ბუნებრივი ღვინისა. ამ უკანასკნელი მოვლენის უმთავრესი მიზეზი კი ღვინის ფალსიფიკაციაა. ყალბმა ღვინოებმა აავსეა მთლად ერთიანად მთელი რუსეთის ბაზრები, ბუნებრივი ყურძნის ღვინო კი ადგილობრივ ბაზრებზედ სჭარბობს და გაუყიდავი რჩება. საჭიროა ამ ადგილობრივ ბაზართა განთავისუფლება ზედ-მეტი ღვინისაგან და მისი გატანა მეღვინეობის რაიონთა გარედ. ამგვარად ჩვენ კოოპერაციებს მოუხდებათ ბრძოლა ფალსიფიკატორების მძლავრ ჯართან, რომელსაც ბაზრებზედ საუკეთესო პოზიციები უჭირავს.

ამ მიზნის აღსრულება, ე. ი. ამ ფალსიფიკატორთა დამარცხება, ძლიერ ძნელია, და ამიტომაც ძლიერის იარაღით უნდა გავოვიდეთ მათ წინააღმდეგ.

დღეს ჩვენი მეღვინეობა მდაბალ ტეხნიკის გამო არ იძლევა ბაზარზედ გასატან სავარგისს საქონელსა, ამიტომაც ჩვენი მეღვინეები იძლევიან მხოლოდ მასალას, რომლის დაყენებასაც და გაკეთებასაც დიდი დრო უნდა. მაშასადამე ღვინის გაკეთება და დაყენება, ღვინის ტიპების შემუშავება, ერთი სიტყვით რაციონალური მეღვინეობა, —აი რა უნდა იყოს პირველი მიზანი კოოპერაციისა. მეორე მიზანი კი უნდა იყოს ღვინის გაყიდვის ორგანიზაცია. ამგვარად უპირველეს ყოვლისა ჩვენ გვჭირდება საწარმოო კოოპერაციები, ე. ი. ისეთი კოოპერაციები, რომლებიც თავს იდებენ ღვინის წარმოებას ყურძნის მოკრეფიდანვე. რასაკვირველია პირველ ხანებში, სანამ კავშირები შესდგებოდეს, ღვ ნის გასყიდვის საქმესაც ეს კოოპერაციები წაუძღვებიან.

კოოპერაციის ტიპის ამორჩევა ძნელი არ უნდა იყოს. გერმანიის მევენახეთა ამხანაგობა ყველაზედ უფრო სრული ფორმაა ასეთი ორგანიზაციისა. იგი უკვე საქმით გამოსცადეს მრავალ წელთა განმავლობაში. იგი ყველაზედ უფრო გავრცელებულია არა მარტო გერმანიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც, სადაც მეღვინეობას მისდევენ.

როგორ შეიძლება ჩვენში პრაქტიკულად განვახორციელოთ ჩვენი მიზანი და შევქმნათ მეღვინეთა ამხანაგობანი?

კოოპერაციები უნდა დაარსდენ თვითოეულ სოფელში ან და პატარა ერთმანეთის მეზობელ სოფლებში.

თავიდანვე კოოპერაციებმა არ უნდა მოინდომონ ძლიერ რთულ მიზანთა განხორციელება, არ უნდა მოინდომონ ძირითადი შეცვლა ღვინის წარმოების არსებულ ფორმებისა.

კოოპერაცია უნდა ემყარებოდეს მეურნეობის არსებულ წესებზედ, ფორმებზედა და პირობებზედ, და მხოლოდ მათი თან და თანი შეცვლით დაადგება წარმოების ახალ გზასა.

ამ უპირველეს პირობების აღსრულება მიტომ არის აუცილებელი, რომ ჯერ ერთი ყოველთვის საჭიროა ანგარიში გავუწიოთ სასოფლო მეურნეობის პსიხოლოგიას, რომელიც ეწინააღმდეგება საუკუნოებით განმტკიცებულ წარმოების ფორმათა ერთბაშად შეცვლასა, მეორე კიდევ იმიტომ, რომ ახალი ორგანიზაციები ვერც შესძლებენ ასეთი ძირითადი რეორგანიზაცია მოახდინონ მთელს წარმოებაში.—მაგალითად, დიდი შეცდომა იქნება, რომ ამხანაგობამ პირველადვე გაიჩინოს ძვირი და რაციონალურად მოწყობილი სარდაფები. ეს ძლიერ გაადიდებს ნაწარმოებ პროდუქტის ღირებულებასა და დახარჯული კაპიტალიც მძიმე ტვირთად დააწვება თავზედ პირველად სუსტ ორგანიზაციას. შეფერხებას ღვინის გაყიდვისა, ან სხვა რომელიმე ხელის შემშლელ პირობას, რაიცა თანა სდევს ხოლმე ხშირად კოოპერაციის დასაწყისს მოქმედებას, აჯვილად შეუძლიათ დიდხანს შეაჩერონ კოოპერაციის განვითარება.—ამგვარადვე ვერასოდეს ვერ ვურჩევდით ამხანაგობას ჩვენ ჩვეულებრივ ჭურჭლის, ქვევრების მაგიერ, მუხის ბოჩკები ეხმარათ. ჩვენი მარნისა და ქვევრების გამოყენება რაციონალურ მეღვინეობისათვის ძალიან ადვილად შეიძლეაა. ქვევრი საუკეთესო ჭურჭელია ღვინის დადუღებისათვისა და პირველ შენახვისათვის გლეხის წვრილ მეურნეობაში. მათი მოვლა და რეცხვა გაცილებით უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე ბოჩკებისა, რომლებიც ძალიან ხშირად შეიცავენ სხეულებათა გამავრცელებელ ორგანიზმებსა და ხშირად ღვინოს სრულიად აფუჭებენ. ამასთანავე ღვინის დადუღების დროს ქვევრში ყოველთვის ერთფეროვანი ტემპერატურაა, ვიდრე დასადუღებელ ბოჩკებში, თუ სპეციალური მოწყობილებანი არ აქვსთ ტემპერატურის მოსამატებლად ან დასაკლებად. ქვევრების გამოყენება კი შეიძლება ღვინის შესანახადაც. ამისათვის საჭიროა ქვის სარქველის მაგიერ მუხის სარქველი, შუაგულში გახვრეტილი; შემდეგ, თუ ქვევრის ასეთს კრანს გარს შემოვარტყამთ პრობკისა ან რეზინის რკალსა და ვინტებით დავაბამთ ქვევრის თავზედ, გერმეტიულად გვექნება დახურული ქვევრი, რადგანაც ჰაერი ღვინოს ველარსაიდან მოხვდება.

ამგვარად, პირველ-ხანებში ამხანაგობას არ დასჭირდება ახალი ჭურჭლის შეძენა, მხოლოდ წევრთა ვალდებულება იქნება ჩააბაროს ამხანაგობას ქვევრები და სხვა საჭირო ჭურჭელი, რომელიც მათ ექნებათ. ამხანაგობას შეუძლია აგრეთვე დაიჭიროს ერთი რომელიმე წევრის მარანი, თუმცა კი უმჯობესია, რომ ამხანაგობამ ერთი მარანი თვით აიშენოს. ადგილის შეძენა სოფელში ძვირი არ დაჯდება, მარნის აშენება კი შეიძლება ნაწილ-ნაწილ მოეწყოს რამოდენიმე წლის განმავლობაში. მანქანებისა და ინსტრუმენტების შეძენაც ამხანაგობას ბევრი არ დასჭირდება: თავდაპირველად საკმარისი იქნება პომპა, პრესსი და რამოდენიმე წვრილმანი ნივთი.

ყველაზედ უფრო საჭირო და აუცილებელი კი ამხანაგობისათვის იქნება მოწვევა სპეციალისტ მეღვინისა, რომ მეღვინეობის საქმე მოეწყოს რიგიანად და საზოგადოდ მთელი საქმე წარმატებით წავიდეს.

აი, დაახლოვებით, რა საშუალებაა საჭირო ამხანაგობისათვის პირველ ხანებში:

მიწის შესაძენად და მარნის (ნაწილ-ნაწილ) ასაშენებლად:	500 მ.
პომპა.	200 მ.
პრესსი (საქაჩავი).	200 მ.
დასაწური მანქანა.	250 მ.
წლიური ჯამაგირი მეღვინისა. . .	1000 მ.
წვრილი იარაღები და ჭურჭელი. . .	200 მ.
სხვა და სხვა მასალა და დანარჩენი ხარჯი.	450 მ.
სულ დაახლოვებით...	2800 მ.

ყოველგვარი მუშაობა,—ქვევრების მოტანა, მიწაში ჩაფვლა, ყურძნის მოტანა და დაწურვა, ღვინის გადაღება და სხვ.—თვით წევრებმა უნდა აღასრულონ.

როგორცა ვხედავთ, საშუალება და ხარჯი მაინცა და მაინც დიდი არ არის. მაგრამ აი კიდევ რა არის საყურადღებო; მონაწილეებს ავანსები უნდათ; შეიძლება ღვინის გაყიდვამდე შეიქნას საჭირო მისი ღირებულების უმეტესი ნაწილის წინდაწინ მიცემა წევრთათვის. როგორ შემოევლება საქმეს ამ შემთხვევაში?—შეიძლება აქ გვიშველიდენ საკრედიტო დაწესებულებანი, რომელნიც ამხანაგობის წევრებს მისცემდენ სესხს ღვინის გირაოში? მაგრამ, როგორც დასავლეთ-ევროპის პრაქტიკამ გვაჩვენა, ეს წყარო საიმედო არ არის. საჭირო და აუცილებელია საკუთარი ამხანაგობა ამ საქმისათვისაც, საჭიროა ორგანიზაცია, დამყარებული იმავე საურთი-ერთო დახმარების პრინციპზედ, ე. ი. საჭიროა საკრედიტო კოოპერაციები. როცა მეღვინეობის კოოპერაცია დაარსდება, იმავე დროს უნდა დაარსდეს განსაკუთრებული საკრედიტო ორგანიზაცია. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი ვერ იხეირებენ ვერასოდეს საკრედიტო ორგანიზაციათა დაუხმარებლად, როგორც ეს უკანასკნელ პირველთა დაუხმარებლად ვერ იქმნებიან წარმატებულნი.

რაც შეეხება ღვინის გასაღებას, აი რა შეგვიძლია ვსთქვათ. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ წვრილ მეღვინეთა ამხანაგობებს არ შეუძლიანთ ამ საქმის მოწყობა, რადგანაც აქ მათ უხდებათ ბრძოლა მსხვილ კაპიტალისტურ ორგანიზაციებთან. ამიტომაც ამ შემთხვევაშიაც დასავლეთ ევროპის კოოპერაციათა მაგალითს უნდა მივბაძოთ: ცალკე ამხანაგობანი სხვა და სხვა რაიონებისა უნდა შეერთდენ ერთ დიდ კავშირად. აქ ჩვენ ადგილი არა გვაქვს დაწვრილებით აღვნიშნოთ, თუ როგორი უნდა იყოს ეს ორგანიზაცია და როგორი საშუალებით უნდა მიაღწიოს მიზანს. ვიტყვით მხოლოდ რომ, მაგალითად, კახეთის მევენახეთა კავშირის საკითხი ძლიერ ადვილად სწყდება. კავშირად კახელ მევენახეთა ამხანაგობათათვის შეიძლება იყოს დღეს არსებული „საზოგადოება კახელ მევენახეთა“, რომელიც თავისი ეხლანდელი სახით სწორედ ღვინის გაყიდვის ორგანიზაციაა, სადაც ცალკე ამხანაგობებს შეუძლიანთ წევრებად შევიდენ, როგორც ცალკე იურიდიული პიროვნებანი.

მაგრამ კავშირის დანიშნულება მარტო ღვინის გასყიდვის ორგანიზაცია არ არის. კავშირი აერთებს ცალკე ამხანაგობებს და მიჰმართავს მათს მოქმედებას ერთი საზოგადო მიზნისაკენ, ნებას არ აძლევს ამხანაგობებს გვერდი აუხვიონ კოოპერაციის ჭეშმარიტ დანიშნულებასა, ერთი სიტყვით მთელს კოოპერატიულ ორგანიზაციას ერთობას განუმტკიცებს. ამას გარდა ცალკე ამხანაგობათათვის გაცილებით უფრო ადვილია კავშირის დახმარებით გამონახოს საჭირო საშუალება ფულისა, რადგანაც ფულის ბაზარი რასაკვირველია კავშირს უფრო ენდობა, ვიდრე პატარა ამხანაგობებს, რომელსაც იგი ძლიერ კარგად იცნობს, იცის მისი ძალა და საშუალება.—შემდეგ, კავშირის დახმარებით ცალკე ამხანაგობებს ყოველთვის შეუძლიანთ უფრო შეღავათიან პირობებში შეიძინონ მეურნეობისათვის საჭირო იარაღები, საწამლო, გასანაყოფიერებელი და სხვა მასალა, და სხვ. კავშირის მიზანი იქნება აგრეთვე ამერიკულ ვაზის საცდელ ვენახთა გაშენება, საცდელი და საჩვენებელ პუნქტთა მოწყობა და სხვ. კავშირს შეეძლო აგრეთვე თვალ ყური ედევნებინა ღვინის კანონის ცხოვრებაში გაყვანისათვის, როდესაც ეს ღვინის კანონი გამოიცემოდა, და სხვა და სხვ.

ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მევენახეობისათვისა და მეღვინეობისათვის კოოპერატიულ ორგანიზაციათა გავრცელებას. მხოლოდ იმითი, რომ არა თუ ასეთი ორგანიზაციები, არამედ საზოგადოდ არავითარი ორგანიზაცია არა გვაქვს, შეგვიძლია იმ უცნაურ მოვლენის ახსნა, რომ დასავლეთი ევ-

როპა, რომელიც წლიურად თითქმის ერთ მილიარდ ვედრო ღვინოს ამზადებს; თუმცა დიდის გაჭირვებით, მაგრამ მაინც ადგილს უპოვებს ბაზრებზედ ამ აუარებელ ღვინოსა, რუსეთმა კი, რომელიც ძლივს 30 მილიონ ვედრო ღვინოს აწარმოებს, არ იცის, როგორ გაასაღოს იგი.

გაჭირვებამ უმწვერვალესს წერტილს მიაღწია. მევენახეები უნდა შეერთდენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ აუცილებელი დაღუპვა მოელისთ...

სვ. ვახვახიშვილი.

მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდგან.

მომზადების ხანა.

IV.

მეორე უმთავრესი ცენტრი ქართველთა განათლებისა იყო წმ. ჯვარის ქართველთა მონასტერი პალესტინაში.

ჯვარის მონასტერი მდებარეობს იერუსალიმიდან ოთხი ვერსის სავალზე. ნამდვილი, სარწმუნო ისტორია ამ მონასტრისა იწყება მე-XI საუკუნიდგან, ე. ი. იმ დროიდგან, როდესაც ეს მონასტერი იმ სახით გაშენდა, რა სახითაც ჩვენამდის მოაღწია. იმის შესახებ, თუ წინად, მე-XI საუკუნემდე, ამ ადგილზე რა იყო, ისტორიკოსები სხვა-და-სხვა აზრისანი არიან.

არქიეპისკოპოსი ტიმოთე მოგვითხრობს, რომ ის ადგილი, სადაც ახლა ჯვარის მონასტერია გაშენებული, ჯერ ისევ მე-VI საუკ. შეიძინა ქართველთა პირველ ქრისტიანე მეფემ მირიანმა, რომელიც ვითომ წმ. ნინოს, ქართველთა განმანათლებელის რჩევით გაემგზავრა კონსტანტინეპოლში კონსტანტინე დიდის სანახავად,— იქიდგან კი წავიდა იერუსალიმში.. მირიანის შემდეგო, ამბობს ტიმოთე, დიდმა და ძლევა-მოსილმა მეფემ ვახტანგ გორგასლანმა აღაშენა მონასტერი იერუსალიმში და მის ახლო-მახლო ადგილებში და გაგზავნა იქ ქართველთა რაზმი კერძოდ ამ მონასტრების და მათი მამულების დასაცველად.

ბოლოს, ტიმოთესივე სიტყვით, მოვიდა პალესტინაში ვიღაც ღირს-საქები კაცი შავშეთიდგან—პროხორე და დაბინავდა წმ. საბას ლავრაში. მეფემ ბაგრატ კურაპალატმა (1027—1072) გაუგზავნა მას ფულები ჯვარის მონასტრის და მასში თავ-შესაფარის აღსაშენებლად, რაც მან მართლაც პირნათლად აღასრულა [1]). თუმცა მართლაც ტიმოთეს ამ მოთხრობას ემოწმება და ეთანხმება თვით მხატვრობა ჯვარის მონასტრისა, ანტონინ არხიმანდრიტისაგან 1643 წ. ნანახი, ე. ი. თუმცა მონასტრის კედლებზედ დახატულნი არიან მირიან, ვახტანგ გორგასლანი, ბაგრატი და პროხორე,—მაგრამ ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი დ. ზ. ბაქრაძე სხვა აზრისაა. აი რას ამბობს ის ამ საკითხის შესახებ: „იმ მოთხრობას, ვითომც მირიან მეფეს შეეძინოს ადგილი იერუსალიმში და ვითომც ვახტანგ გორგასლანს დაეპყრობს პალესტინა, გადმოგვცემენ მხოლოდ ქართული წყაროები. ამ მოთხრობას მანამდი ექნება ლეგენდარული ხასიათი, სანამ არ დამტკიცდება უტყუარი ფაქტებით და საბუთებით [2]). დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს იმას, რომ ჯვარის მონასტერში შენახულან სურათები მირიანის და ვახტანგ გორგასლანისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მართლა მონასტრის ფრესკები უფრო ძველს დროს ეკუთვნიან, ვინემ ამას ანტონინი უჩვენებს (1643 წ. [3]) ეს აზრი ჩვენი ცნობილი ისტორიკოსისა, თუმცა ყურადღების ღირსია, მაგრამ მას არ ეთანხმებიან საერთოდ ყველა ის ცნობები ჯვარის მონასტრის შესახებ, რომლებსაც კი დღემდის მოუღწევია,—პირ-იქით, ტიმოთეს მოთხრობას ყველანი ერთხმად ემოწმებიან.

თითქმის ყველა მოგზაურები 1384 წლიდგან, ამბობს ტაბლერი, ერთხმად იმეორებენ, რომ ჯვარის მონასტერი აღშენებულია ელენესაგან (კონსტანტინე დიდის დედა), მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთები არ მოიპოვება. უფრო სარწმუნოა ის, განაგრძობს ტაბლერი, რომ ჯვარის მონასტერი აღშენებულია ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასლანისაგან მე V საუკუნეში იმ მიწაზე, რომელიც კონსტანტინე დიდმა აჩუქა მირიან მეფეს. ტაბლერის აზრით პროხორე შავშეთელი არ არის ახლად ამშენებელი, მან მხოლოდ განაახლა ჯვრის მონასტერი.

მართლაც, როგორც სჩანს ერთი ხელნაწერიდან, რომელიც ჯვარის მონასტერშია დაწერილი, პროხორე იყო მხოლოდ განმაახლებელი და არა დამაარსებელი ამ მონასტრისა [4]). სხვა მონასტრის საბუთებიდან ისიც სჩანს, რომ პროხორეს მართლა დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის მონასტრის განახლება-აღყვავებაში: მან თურმე შეკრიბა აქ მრავალი ბერები, მწიგნობრები, გადამწერლები, მხატვრები [5]).

1099 წ. ჯვაროსნებს, რომლებმაც დაიპყრეს იერუსალიმი. ამ მონასტრებში უნახავთ მშვენიერი საკრებულო ეკკლესია. მონასტრის აღყვავებას მოწმობენ სეულფი (მოგზაური 1102 წ.) და რუსის „პალომნიკი“ დანიელი (1106—1107 წ.), ეს უკანასკნელი დიდის ქებით იხსენიებს ჯვარის ეკკლესიას და მის მხატვრობას [6]). იერუსალიმში ფრანკების მფლობელობის დროს, 1099—1138 წ., ჯვარის მონასტერი ეკუთვნოდა ქართველებს და მის წინამძღვრად იყო ქართველი. იმ დროის მწერლები ამ მონასტერს ყოველთვის ეძახიან

---

1) იხ. არქიეპ. ტიმოთეს „მოგზაურობა წმ. ადგილებში“—გვ. 95.

2) ქართველთა იერუსალიმში გალაშქრების და მის დაპყრობის შესახებ, როგორც გვახსოვს, დაიბეჭდა გაზით „ივერიაში“ თ. ჟორდანიას სტატია, ავტორი ამტკიცებს ამ ფაქტს.

3) იხ Труды Арх. съѣзда въ Тифлисѣ 1881 г. —ბაქრაძის სტატია.

4) იხ. ა. ცაგარელი. Описанiе Грузинскихъ помятниковъ въ св. Землѣ и на Синаѣ“, გვ. 8 3

5) იხ. ა. ცაგარელი. Каталогъ рукописей монастыря св Креста (Правос Палест Сборникъ, т. IV, стр. 142—147)—

6) იხ. Путешествiе Данiила: Изд. Прав. Пал. общ. Спб. 1885 г., გვ. 83.

„monasterium georgianum“ [7]). მე-XIII საუკუნის პირველ ნახევარში მაჰმადიანებმა წაართვეს ქართველებს ჯვარის მონასტერი და გადააქციეს მეჩეთად, მაგრამ 1305 წ. ისევ უკანვე დაუბრუნეს ქართველებს.

1320 წ. მოგზაურების სიტყვით, ჯვარის მონასტერი ეკლესიებით ეკუთნოდა ქართველებს. 1520 წ. როდესაც იერუსალიმი ოსმალებმა დაიპყრეს, უკანასკნელთ მოხსენდა, რომ ჯვარის მონასტერი ქართველების საკუთრებაა.

მე-XVII საუკუნეში ჯვარის მონასტერი მთლად განახლეს არხიმანდრიტმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა და სამეგრელოს მთავრობელმა ლევან დადიანმა. ეს მონასტერი, ტაბლერის სიტყვით, საქართველოდგან იღებდა, კერძო შემოწირულების გარდა. 12 ათას პიასტრს. მე-XVII საუკ. ბოლოს, როდესაც მონასტერს 100,000 ტალერი დაედო მაჰმადიანებისა, ეს ფულები სრულად ქართველებმა გადაიხადეს.

მე XVIII ს. პირველ ნახევარში სხვათა შორის ჯვარის მონასტერი ინახულა შესანიშნავ რუსის მოგზაურმა ბარსკიმ. ბარსკი ამბობს, რომ ჯვარის მონასტერი შესანიშნავად მორთულ-მოკაზმულია („внутрь зело благозрачно“). ამასთან ის დასძენს, რომ ეკკლესიების კედლებზე მრავალი სურათებია დახატული საქართველოს მეფეთა და პატრიარხთა: რომ მონასტერი აღშენებულია საქართველოს მეფის ტატიანისაგან (?) (უნდა იყოს „დადიანისაგან“). და სხვა და სხვა... [8]) ტიმოთე გაბაშვილს, რომელიც ამ მონასტრებში ყოფილა წასულ საუკუნის მეორე ნახევარში, აქ უნახავს ბევრი ქართველი ბერები და აუარებელი წიგნები. [9])

1820 წ. მოგზაურს მოლცს ჯვარის მონასტერში უნახავს ოთხასამდის ქართული ხელნაწერი; ტიშენდორფსაც 1846 წ. უნახავს აქვე თითქმის ამდენივე [10]).

1858 წ. აქ ყოფილა რუსი არქიმანდრიტი ლეონიდე და უნახავს ერთ კუთხეში უპატრონოდ მიყრილი ქართულ ხელნაწერთა გროვა, დატოვებული სინესტის, ჭიების და მწვანე მორიელთა მსხვერპლად [11]). და მართლაც ვის უნდა ეპატრონა, შეენახა და ეზრუნა ამ ძვირფას ქართველთა ნაშთებისათვის. როდესაც ქართველთა ოფლით და ქონებით აღშენებული მონასტრისაგან მე XVIII საუკუნეში ბერძნებმა მთლად განდევნეს ქართველები? მათ ისარგებლეს იმისთანა დროთი, როდესაც საქართველო განსაცდელში იყო პოლიტიკურად და დაისაკუთრეს ქართველთა ძვირფასი ნაშთი. დღეს აქ, სავალალოდ, მგონი ერთი ქართველი ბერიც არ მოიპოვება! სწორედ რომ „დრონი მეფობენ და დრონი გლახაკობენ“ [12]).

7) ა. ცაგარელი Памятн Груз. стар въ св. Зем. и на Син გვ. 94)

8) იხ. Странствованія В. Г. Барскаго по св. мѣстамъ съ 1723—1747 г. 1 т., стр. 335).

9) „მოგზაურობა“ ტიმოთესი, გვ. 148—149; 154—156; 158—162).

10) ა. ცაგარელი „Описаніе Груз. Памят.“, გვ. 101.

11) „Чтенія Московскаго общества Истор. и древностей“ 1871 წ II განყ; სტ. გვ. 8—9).

12) შენიშვნა: წყაროები ჯვარის მონასტრის შესახებ, გარდა ზემორე ნაჩვენებისა: „ქრონიკები“.. თ. ჟორდანიასი, გვ. 148—155; 130, 177; „საქართ. ისტორია“—ბაქრაძისა. გვ 204. 259: 230—236; „Исторія Груз церкв.“ პ იოსელიანისა,—გვ. 80. „Жур. Мин. Нар. Просв.“ ტ. 40; გვ. 222; „Православ. Палес. Сборн.“ вып. 10. გვ. 37—42; „Труды V арх. съѣзда“, გვ. 328, 215)...

ჯვარის და ივერიის მონასტრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოსთვის და მისი მწერლობის და ქრისტიანულ კულტურის აღორძინებისათვის. აქ პირველად აღენთო ლამპარი ქართველთა სწავლა-განათლებისა. აქ საბოლოოდ გადათარგმნა, შესწორდა საეკლესიო წიგნები. აქ დაიწერა და გადაითარგმნა მრავალი სადვთისმეტყველო, ისტორიული და ფილოსოფიური თხზულებები. აქ დაარსდა შესანიშნავი წიგნთსაცავები, რომლებითაც სარგებლობდა ყველა სწავლა-მეცნიერების მწყურვალე ქართველი აქ არსებობდა სკოლა კალიგრაფიისა. აქვე იწერებოდა და მერე ათასობით იგზავნებოდა საქართველოს ყოველს კუთხეში მრავალი წიგნები [13]).

ამ მონასტრებში დაწერილი და აქვე გადაწერილი წიგნები ბლომად მოიპოვებიან დღესაც ევროპის ყველა შესანიშნავ ბიბლიოთეკებში (პარიზში, ბერლინში, რომში, პეტერბურგში და სხვ.). აქვე იზრდებოდა და ფრთებს ისხამდა ქართველების ეროვნული თვით-ცნობიერება. აქ ვარჯიშობდა ქართველთა გონება და აქვე საკვირველის სიცხადით მტკიცდებოდა მათი ნიჭი. აქ აღიზარდნენ ისეთნი მაღალ-ნიჭიერნი ქართველთა მწერალნი, როგორნიც იყვნენ გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები; პეტრიწი, შოთა რუსთაველი და სხვ. აქვე „დამშვენდა, დატკბა, შემუშავდა ენა ივერთა“, რომლის „სმენა დღესაც ჩვატკბობს ამერ-იმერთა“.

V.

მე-X—XI საუკ. ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ შესანიშნავი ათონის მოღვაწენი და მთარგმნელნი: წმ. იოანნე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელნი.

წმ. იოანნე: შთამომავლობით ქართველი იყო; მისი მდიდარი და ცნობილი გვარეულობა სცხოვრობდა ქალაქ არტანუჯში [14]). ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზდა, ის განშორდა მშობლებს და გაემგზავრა ერთ-ერთს იმერეთის მონასტერში (სახელდობრ რომელში—დამწერი მისი ცხოვრებისა არ ამბობს). რამოდენიმე ხნის შემდეგ, იოანნემ აიღო ლოცვა-კურთხევა მონასტრის უფროს ბერებისაგან და საბერძნეთში გაემგზავრა. აქ, ულუმპიის ერთ ერთს მონასტერში, ის შესდგა მორჩილად და ასრულებდა სხვა და სხვა სამორჩილო საქმეებს, სხვათა შორის, მწყსიდა მონასტრის ვირებს... ამ დროს საბერძნეთის, იერუსალიმის და სინას სხვა და სხვა მონასტრებში იღწოდნენ და შრომობდნენ ქართველი ბერები. განსხვავებით იდიდებოდნენ თვისის მხნე და ნამდვილ ქრისტიანულ მოღვაწეობით ათონის წმ. მამანი: ათანასე დიდი, გიორგი შავი, ზაქარია მირდატის ძე, რომლის ხელით გადაწერილია გრიგოლ ღვთისმეტყველის მოძღვრებათა კრებული, [15]) არსენი სომეხყოფილი, იოანნე ხა-

13) იხ. პრ. ხახანაშვილი „Очерки по Истор. Груз. словест“, вып. 1).

14) იოანნეს ცხოვრება დაწერილია ვიღაც ბერ-მონაზონ გიორგისაგან. ეს გიორგი უნდა იყოს ცნობილი მთარგმნელი გიორგი მთაწმინდელი.

15) ცნობილია შემდეგი მისი ნაშრომი: ა) დარღვევა მაჰმადიანობისა; ბ) თეოდორიტეს საეკლესიო ისტორია და სხვა და სხვა ძილის პირი.

რუდელი, გიორგი, სვიმონი, გაბრიელი, თეოფანე ხუცესი,—გიორგი მთაწმინდელის სიტყვით,—„კაცი განსწავლული და დიდად დახელოვნებული წიგნების თარგმნაში“; წმ. ბერი იოანნე გრძელიძე—დაუძლებული,[16]) არსენი ნინოწმინდელი კაცი „უმაღლესად ზნეობრივი და ამსრულებელი ქრისტეს მცნებისა“, რომელმაც არ ისურვა ეპისკოპოსობა ქრისტიანულ თავ-მდაბლობით.[17])

ეს ქართველი მოღვაწენი, რადგანაც მათ არ ჰქონდათ ათონში საკუთარი მონასტერი, სცხოვრობდნენ ცალ-ცალკე ბერძნების მონასტრებში. ერთხელ ისინი, რადგანაც მოსწყინდათ სხვის მონასტერში ბოგინი, გაემგზავრნენ პონტში იმ აზრით, რომ იქ აეშენებინათ კერძოდ, განსაკუთრებით ქართული მონასტერი. მაგრამ ამ დროს წმ. იოანნემ და მისმა შვილმა ექვთიმემ, როგორც წინეთ მოვიხსენიეთ, ბასილი იმპერატორის მოწყალებით და თორნიკე ერისთავის საფასით, აღაშენეს ათონზე ქართული ივერიის მონასტერი, რომელიც შემდეგში გახდა შესანიშნავ ლავრად მთელს საბერძნეთში. იოანნეს სურდა შეეკრიბნა ერთად ყველა ქართველი ბერები, რომლებიც იღწოდნენ საბერძნეთში. და, როდესაც შეიტყო პონტში გამგზავრებულ ბერების შესახებ. მან მათ გაუგზავნა შემდეგის შინაარსის ბარათი: „უმორჩილესად გთხოვთ, დაბრუნდეთ უკანვე და ვიცხოვროთ ერთად“. პონტოიდგან ქართველები დაბრუნდნენ ათონში და დაესახლნენ ივერიის მონასტერში. იოანნეს სურვილი აღსრულდა: ყველა ქართველ-მოღვაწენი ეხლა ერთად იყვნენ... წინამძღვრად აირჩიეს წმ. იოანნე. მაგრამ თორნიკეს სიკვდილის შემდეგ, იოანნემ თვის შვილ ექვთიმესთან ერთად მიატოვა ივერიის მონასტერი და დამკვიდრდა სინაზე, რადგანაც სურდა თავი დაეღწია ქვეყნიურ ზრუნვა-ფიქრისათვის, რომელიც შეერთებული იყო წინამძღვრის მოვალეობასთან. წმ. ათანასე ბევრი ეხვეწა, ემუდარა იოანნეს დარჩენილიყო ათონზე ახლად აღშენებულ მონასტერში, მაგრამ იოანნეს გადაწყვეტილება შეურყეველი იყო. იოანნეს გადაწყვეტილება შეატყობინეს იმპერატორსაც კი. იმპერატორმა სთხოვა იოანნეს დარჩენილიყო ივერიის მონასტერში და თავი არ დაენებებია წინამძღვრობისათვის. მან პატივი სცა იმპერატორის თხოვნას და დარჩა მონასტერში სიკვდილამდის... იგრძნო თუ არა სიკვდილის მოახლოვება, იოანნემ წინამძღვრობა გადასცა თავის შვილს,—შესანიშნავ მოღვაწეს, მწიგნობარს და საღმრთო-საეკლესიო წიგნების შემსწორებელს—ექვთიმეს.

ექვთიმე იოანნეს შვილი იყო. ახალგაზრდობაში იოანნემ ის წაიყვანა ულუმპიიდგან კონსტანტინეპოლში. ექვთიმე თავდაპირველად შეუდგა ქართული ენის და ლიტერატურის საფუძვლიანად შესწავლას, მერე კი ბერძნულს. ბუნებით ის უხვად დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივ ნიჭით და შესანიშნავ, თითქმის გასაკვირველ, გულმოდგინებით. თითონ იოანნე ასე მოწმობს თვისი შვილის ნიჭზე, მეცადინეობაზე და წარმატებაზე: „შვილმა ჩემმა ექვთიმემ მიიღო არაჩვეულებრივი მადლი და ნიჭი ქართული ენისა“ [18]). ერთხელ იოანნემ დაიბარა შვილი და უთხრა: „შვილო ჩემო, თითონ იცი, რომ ჩვენს მხარეში (საქართველოში) დიდი საჭიროებაა საეკლესიო და საღმრთო წიგნებში. ვხედავ, რომ ღმერთს დაუჯილდოებიხარ სიბრძნის ნიჭით, და გთხოვ შენ დაიწყო ღვაწლი და შრომა წიგნების გადათარგმნისა“. ექვთიმემ მოკრძალებით მოისმინა თხოვნა მამისა და შეუდგა გულდადებით და ხალისით შრომას ეს შრომა მან დაიწყო სახარების გადათარგმნით. გაათავა თუ არა თარგმნა, მან ეს სახარება გაუგზავნა საქართველოს მეფეს დავით კურაპალატს. მეფემ მოუწონა და მადლობით მიიღო გამოგზავნილი საჩუქარი. ამან უფრო გაამხნევა ექვთიმე, და ის უფრო მომეტებულის გულმოდგინებით და ყურადღებით შეუდგა საქმეს. მან გადასთარგმნა შემდეგი წიგნები: სახარება იოანნესი, სრულად ბასილი დიდის მოძღვრებანი, დავითნი, წიგნი იოანნე კლემაქსისა (ЛѢСТНИЧНИКЪ). წიგნი წმ. მაკარისა, მოძღვრებანი მაქსიმესი. წიგნი წმ. ისააკ სირიელისა. წმ. დოროთეოსის. ცხოვრება წამებულის სტეფანე ახალისა. ცხოვრება და წამება წმ. კლიმენტო რომელისა. ცხოვრება წმ. გრიგორ ღვთისმეტყველისა და ყველა მისი მოძღვრება, ცხოვრება წმ. ბასილი დიდი კესარიელისა, ცხოვრება წმ. ბაგრატის, იოანნე ღვთისმეტყველის წიგნი გამოცხადებისა და მისი ახსნა, ანდრია კრიტელის ახსნა გამოცხადებისა, ცხოვრება მარიამ ეგვიპტელისა. სწავლა სარწმუნოებაზე წმ. ზოსიმესი, სწავლა სარწმუნოებაზე წმ. ეფრემ სირიელისა, სრული ნომოკანონი მე VI მსოფლიო კრებისა წმ. იოანნე მმარხულესი და **კიდევ ორმოცამდე** სხვა და სხვა წიგნი, რომლებსაც ჩვენ აქ არ ჩამოვსთვლით [19]). ყველა ჩამოთვლილი და ჩამოუთვლელი წიგნები ექვთიმემ სთარგმნა თვისი მამის—იოანნეს სიცოცხლის დროსვე, ქ. ი. 998 წლამდე. ეს აიხსნება იმითი, რომ ამ დრომდე ექვთიმეს ბევრი დრო ჰქონდა და არ იყო წინამძღვრის მოვალეობით დამძიმ-დატვირთული. მას შემდეგ კი, როდესაც ექვთიმემ, მამის თხოვნით, წინამძღვრობა მიიღო, მას დრო და მოცალეობა არ ჰქონდა განეგრძო ნაყოფიერი ლიტერატურული შრომა. ამას გარდა, როგორც სამაგალითო ბერი, ის თან და თან უძლურდებოდა, სუსტდებოდა უზომო და მეტის-მეტი ლოცვითა და მარხვით.

მეფე დავითმა შეიტყო ექვთიმეს დაუღალავ, შეუწყვეტელ და სასარგებლო შრომა-მოღვაწეობის შესახებ და დაიბარა საქართველოში. სამშობლოს სიყვარულმა, სურვილმა ერთხელ კიდევ სიკვდილამდე ენახა „ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ სამშობლო, აიძულა ექვთიმე დროებით დაეტოვებინა თავისი სულიერი ნავთ-საყუდარი — მონასტერი. საქართველოში მეფე შეეგება ექვთიმეს მთელის სასულიერო კრებით და უთვალავი ხალხით, როგორც მთელი ერის მშვენებას და სიამაყეს. ექვთიმემ ოთხი წელი დაჰყო საქართველოში. ამ დროს განმავლობაში ის დაუღალავად ასწავლ-არიგებდა თანამემამულეებს და უსწორებდა მათ ზნე-ჩვეულებას. საქართველოში ყოფნის დროს ექვთიმემ აღაშენა თავის სამშობლო კახეთში მონასტერი წმ. სტეფანეს სახელზე [20]).

წმ. ექვთიმე მე XI საუკ. შესანიშნავი ქართველი მწერალია. „ის, ვიტყვით მურავიოვის სიტყვით,—განდიდილი ათონის ვიწრო და ბნელ სენაკში გახდა თავის შორეულ სამშობლოს იოანნე ოქროპირად: დასწერა მრავალ სულის მაცხონებელი (душеспасительный) წიგ-

[16]) მისი შრომანი: ა) ღვთისმეტყველება დამასკელისა (თარგმანი); ბ) წიგნი გრიგოლ სინაელისა და გ) მეტაფრასტი და ქებათა-გალობანი.

[17]) იხ. საბინინი „საქართვ. სამოთხე“, გვ. 403—436; ცხოვრება წმ. ექვთიმესი.

[18]) იხ. ა. ცაგარელი ,,Кат. рукоп. мон. св Креста. Пал. СБ. 1888. IV, გვ. 41, 42, 44, 92, 93, 144, 173, 174, 177, 229 და ა. ხახანოვის ,,Очерки“.

[19]) იხ. საბინინი ,,საქ. სამ.“, გვ. 416.

[20]) იხ. საბინინი ,,საქ. სამ.“, გვ. 423.

ნები, რომელთაც, რვა საუკუნის შემდეგად კი, აღტაცებაში მოჰყავსთ მისი თანამემამულეები“ [21]).

თუმცა ექვთიმემ დიდი ღვაწლი და შრომა დასდო წიგნების თარგმნაში, მაგრამ იმან მთლად მაინც ვერ დაათავა ეს რთული და მძიმე საქმე. ღირსეულმა მისმა მემკვიდრემ—წმ. გიორგი მთაწმინდელმა დააგვირგვინა ექვთიმესგან დაწყებული საქმე წიგნების გადათარგმნა-შესწორებისა.

იპ. ვართაგავა.

გარეშე ცნობა.

ტფილისი

ყველგან ამოძრავებულია ხალხი, ახლოვდება ბედნიერი დღეები. შობა, ახალი წელიწადი. ბორჯომიდან და მანგლისიდან ჩამოტანილია ნორჩი მწვანე ნაძვის ხეები, რომელთა საკმეველსავით საამო სუნი იზიდავს ბავშვების გულის ყურს. ბავშვების მოცინარი პირისახე კმაყოფილებით ივსება საშობაო და საახალწლო საჩუქრების მოლოდინში.

ნაძვის ხეების წინ გაივლის მანდილოსანი ბავშვებით. „ნაძვის ხეები, ნაძვის ხეები!“ —აღტაცებით გაიძახიან ბავშვები.

„დედა, გაგვიმართე შობის ხე, გვიყიდე ახალი ტანისამოსი საბედნიერ-დღეოდ.“

აგერ მოდიან ახალგაზდა ცოლი და ქმარი, უყურებენ დიდძალ ნაძვის ხეებს, ლაპარაკობენ, თათბირობენ საშობაო და საახალწლო დღეებზე, საბალო ტანისამოსზე, თეთრეულსა და კოსტიუმებზე.

სარისტიანი დიასახლისი ფიქრობს თავის გონებაში, თუ რამდენია საჭირო ქალიშვილის საბალო ტანისამოსისთვის.

მოსამსახურე ქალები—ვამდლები და მზარეულები—წინდაწინვე ფიქრობენ და ითვალისწინებენ, თუ რანაირ მატერიას აჩუქებენ მათ თავიანთი ბატონები—ბამბაზიასა, სატინასა თუ მატყლის მატერიას. კარგი იქნება, რომ მოდისა იყოსო, ოცნებობენ ბატონურის მედიდურობით.

დღესასწაულები.

უფერული, უსანდომო სიცოცხლე უბრალო დღეებისა იცვლება რაღაც ახალის, სამხიარულოს და ბრწყინვალის მოლოდინში.

ჩვინდა უნებურად დღესასწაულებისა გამო, ისეთს დღესასწაულებისა, როგორიც არის შობა, ახალი წელი, ნათლისღება, ბუნება ახლდება, ვახლდებით და ვცოცხლდებით ჩვენც, ახლდება ჩვენი ურთი-ერთა შორის დამოკიდებულებაც.

გრძნობა სიყვარულისა, მეგობრობა, კეთილი სურვილები იცავენ ჩვენს არსებას,—ყველა ეს სულიერად გვახალისებს, გვაახლებს, გვასხვაფერებს და აი აქედან გამომდინარეობს ჩვეულება, რომ ვიცვლით თეთრეულს, ტანისამოსსა და კოსტიუმებს: ახალი შიგნით და ახალი გარედ! ვაძლევთ საჩუქრებს შვილებსა და მახლობლებს, მოსამსახურეებს: თეთრეულს, ტანისამოსს და მატერიებს.

რასაკვირველია, იბადება მოთხოვნილება, იყიდოს კაცმა კარგი საქონელი, იაფად და ამასთან სეზონისა, საბედნიერ-დღეო.

სამანუფაქტურო და თეთრეულის მაღაზიები დღესასწაულების წინ, როგორც იტყვიან ხოლმე, თავაურთმევლად ვაჭრობენ.

საზღვარ-გარედ და სატახტო ქალაქებში დიდი უნივერსალური მაღაზიები შობის წინ, ორი კვირით ადრე, მართავენ საშობაო ბაზარს, იაფ ვაჭრობის ყველა განყოფილებაში და ამით ათავებენ ზამთრის სეზონს.

ასეთ ბაზრების მიზანია მყიდველებს საშუალება მისცენ იაფად შეიძინონ კარგი ხარისხის სეზონის საქონელი.

საშობაო ბაზრები იმართება ყველგან იმიტომ, რომ საუკეთესო საქონელი, ახალი საქონელი, ზამთრის სეზონისაგან დარჩენილი, გაყიდონ სრულიად, აგრეთვე თუმცა იაფად, მაგრამ მაინც გაჰყიდონ სეზონის საქონელი. თუ არ ამისთვის, საშობაო ბაზრებს არავითარი მნიშვნელობა და აზრი არ ექნებოდათ.

აქ, ტფილისში, 7 დეკემბრიდან 23 დეკემბრამდე 15 დღის განმავლობაში, გაიმართება დიდი საშობაო ბაზარი იაფ ვაჭრობისათვის პ. ს. დოროჟნოვის დიდ უნივერსალურ მაღაზიაში, რომელიც მოთავსებულია სოლოლაკის ქუჩაზე, გურგენოვის სახლში, ტელეფონი № 583. საშობაო ბაზრის ასეთი დიდი იაფი ვაჭრობა მოხდება მაღაზიის ყველა ცხრავე სპეციალურ განყოფილებებში.

ამ ბაზარს დიდი უპირატესობა აქვს წინანდელ იაფ-ვაჭრობასთან არა მარტო იმით, რომ ფასები ყველა საქონელზე ეხლა გაცილებით დაკლებულია, ვიდრე წინად იყო ხოლმე, არამედ იმიტომაც, რომ საქონლის ღირსება ეხლა უფრო საუკეთესო იქნება.

ბაზრის უპირატესობა იმით გამოიხატება, რომ მყიდველებს საშუალება ეძლევათ იყიდონ უკანასკნელ მოდის, ახალი საქონელი ამ ზამთრის სეზონისა, ყოველნაირ ღირსებისა, ქალისა თუ კაცის ტანისამოსისათვის, საბალო ტანისამოსისთვის, აბრეშუმისა და შალის მატერიები, მაუდი, დრაპები, საკოსტიუმე ტრიკოები, სუფრის თეთრეული და სხვა, ტილოეულობა და სამანუფაქტურო საქონელი.

ამ ბაზარზე ყველა იშოვის თავისთვის საშობაო საჩუქარს: დედა—შვილისთვის, ცოლი—ქმრისთვის, სასიძო—სასძლოსთვის, და—ძმისათვის, დიასახლისი—მოსამსახურისათვის და სხვა და სხვა.

პირველ საშობაო ბაზარს პ. ს. დოროჟნოვის მაღაზიაში დიდ იაფ ვაჭრობისას უზომო მნიშვნელობა აქვს როგორც მყიდველებისათვის, რომელნიც იაფად შეიძენენ სეზონის საქონელს, ისე ფირმისათვის, რომელმაც გამართა სასურველი და ტფილისისათვის საჭირო—საშობაო ბაზარი.

მოქალაქე.

(1—ხალ.—1)

[21]) იხ. მურავიოვი. „Житія свят. мѣс. Іюль“, გვ. 229.

რედაქტორ-გამომცემელი **სვ. ყიფიანი.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, **სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა**, მოსკოვის ქუჩა № 5.